1973

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘ

1973

„ერთგული ხელი ვიეტნამელი ელვოჯრედს!“

ყმაწვილები ხალისიანად მიუყვებოდნენ მზით განათებულ განიერ ქუჩას. გამვლელები ცნობისმოყვარეობით აყოლებდნენ თვალს წითელყელსახვევიანთა გრძელ მწკრივს, რომელიც, რაც სკოლას გამოსცდა, სულ უფრო გრძელდება.

მაგრამ, აი, წინა რიგები შეჩერდნენ, უკანანი თანდათან მოახლოვდნენ.

— ყველანი ვართ? — იკითხა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ჯულიეტა ქარჩავამ.

— დიახ, ყველანი! — იყო ერთობლივი პასუხი.

მეორე უფროსი პიონერხელმძღვანელი მედეა შენგელია ქარხნის აგრონომის მოსახმობად წავიდა. მალე ძია ვალოდიაც გამოჩნდა, ყმაწვილებს მიესალმა და მეკარეს საუბარი გაუბა:

— ამ ბავშვებს ხომ იცნობ! დღეს შაბათობაზე არიან ჩვენთან და უნდა გამოატარო, ბაღში მიმყავს ხეხილის სარგველად.

— ე მანდ არა გაგვიფუჭონ-რა, — თქვა მეკარემ. — ამათ რგვისა რა იციან, იქნება სულაც დაგიხმეს ამათი ჩაყრილი ნერგები.

— შენ გამოატარე, არხსა როგორც გაჰკვალავ, წყალიც ეგრე ივლის — ვეტყვი და გაიგონებენ.

მეკარემ გაატარა. ყმაწვილები ბილიკ-ბილიკ ხეხილნარისაკენ მიუყვებიან და გზადაგზა ნაცნობ მუშებს მხიარულად ესალმებიან. აქ ყველაფერი მახლობელია და თავს შინაურულად გრძნობენ. ეს მახლობლობა ხშირი სტუმრობისაგან მოტანილი სიკეთეა. თუმცა რაღა სტუმრობა ეთქმის, როცა ასე დიდი ხნისაა სკოლისა და ქარხნის მეგობრობა, ასე მალმალ ხვდებიან ერთმანეთს, ასე ბევრი იციან ერთმანეთზე. თითოეულ პიონერს შეუძლია დაწვრილებით გიამბოთ რა სიკეთეც ახსოვთ ელმავალმშენებლებისაგან: ქიმიის, ფიზიკის, სამხედრო კაბინეტების აღჭურვა, ყოველწლიური რემონტი სკოლისა, შეხვედრები, ერთობლივი გასეირნებანი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ თექვსმეტსავე პიონერულ რაზმს აქაური მუშები ჰყავთ ხელმძღვანელებად.

აქ, ქარხანაში, ხშირად ნახავთ ალისფერყელსახვევიანებს პიონერული შეკრების ხაზზე. განსაკუთრებით შარშანდელი 19 მაისი შემორჩა მათ ხსოვნას — პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავის ზეიმი. წარმოების მოწინავე ადამიანები ესწრებოდნენ ამ შეკრებას, მათ შორის — სოციალისტური შრომის გმირი ვასილ პაპინაშვილი, საქართველოს სსრ უმაღ-

ლესი საბჭოს დეპუტატი გურამ ჩადუნელი, აქაურ კომკავშირელთა თავკაცი ალეკო ხუციშვილი.

რაც შეეხება შაბათობას, არც დღევანდელი შაბათობაა პირველი. ამასწინათაც, საკავშირო კომუნისტური შაბათობის დღეს რაზმეულმა ქარხანას მიაშურა. საყვირითა და დოლით გამოცხადდა აქ 500-მდე პიონერი, რომელთაც მასპინძლები გულითადად შეეგებნენ. პირველი სიტყვა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ შოთა გოგიჩაიშვილმა აიღო. მერე საუბარი შედგა, მერე — ოქტომბრელები პიონერთა რიგებში მიიღეს, მერე — პიონერული კონცერტი გაიმართა. ხოლო, როდესაც შეკრება დამთავრდა, შაბათობა დაიწყო. იმ დღეს უმაწვილებმა მთლიანად დააწკრიალეს აქაურობა და შეაგროვეს 10 ტონა ჯართი, ეს იყო მათი წვლილი მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის ფონდში.

დღევანდელი შაბათობა კი სხვა მიზანს ისახავდა. ეს მიზანი ძალიან კარგად გამოიკვეთა რაზმეულის შეკრებაზე: ვიეტნამელი თანატოლები დახმარებას საჭიროებენ, საბჭოთა პიონერებმა, რომლებიც ადრე სულითა და გულით თანაუგრძნობდნენ მათს განმათავისუფლებელ ბრძოლას, გადაწყვიტეს, ამჯერადაც ხელი გაუწოდონ მშვიდობიანი ცხოვრების მოწესრიგებაში. ყოველი სკოლა მოვალეა თანაუგრძნოს მათ და ეს თანაგრძნობა თუნდაც მცირე საჩუქრით გამოხატოს. ხოლო თბილისის 114-ე სკოლის რაზმეული, რომელიც ოლეგ კოშევოის სახელობისაა, ვერა და ვერ იქნება ამ სახელის ტარების ღირსი, თუ განზე გადგება და ხელს არ გამოიღებს ვიეტნამელი ბავშვების სასიკეთოდ.

აი რატომ მოვიდნენ პიონერები

ჯიოლეგი

7

ივლისი

1929

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორკ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეროვნული ორგანი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ (ბ)-ის ბამომცემლობა

12.178

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ქარხანაში — მათ გაიხსენეს თავიანთი მოქალაქეობრივი და ინტერნაციონალური მოვალეობა.

...მაისის თბილი მზე დანათის ბალს. ძია ვალოდია ბავშვებს ანაწილებს. ერთი ჯგუფი ხეხილის სანერგეში მიჰყავს. პიონერებს მიწიდან ამოაქვთ პაწია ნერგები, თვლიან, ახარისხებენ, კონებად კრავენ. მეორე ჯგუფი ბაღში ჩამდგარა და ორმოებს იღებს; მესამე — ყვავილებს დასტრიალებს თავს. აქ უმთავრესად მარჯვენაფლანგელი რაზმები მუშაობენ — მეხუთე პირველი და მეხუთე მესამე კლასელები. აქვეა რაზმეულის საბჭო. მოსულან სხვა რაზმების წარმომადგენლებიც. შოთა გოგიჩაიშვილი ოთარ აბრამიშვილს წინადადებას აძლევს, მოდი, ეს ერთი მწკრივი მარტო მე და შენ ვითათოთ და შევავსოთ, ისე რომ სხვების დახმარება არ დაგვჭირდესო. ოთარი ეთანხმება, მაგრამ, თავის მხრივ, უმატებს: ბოლოს დაფაც გავუკეთოთ — დაე აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ნამუშევარიაო. შოთა უარზეა. წარწერა მარტო საჩვენო კი არა, საერთო უნდა იყოსო და, თუ ჩემი სიტყვა არ მოგწონს, ჯულიეტა ხელმძღვანელს ჰკითხეო.

ოთარი, ცხადია, საკითხავად აღარავისთან წასულა, ისედაც მიხვდა — რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე არ ტყუოდა, ამ დღეს ყველა შრომობდა და ესენი რა წითელი კოჭები ყოფილიყვნენ, მარტო თავიანთი მწკრივი გამოეყოთ წარწერიანი დაფით.

როცა ბიჭებმა საქმე მოამთავრეს, მზე სამხრობაზე იდგა. ძია ვალოდიამ ისინი გულწრფელად შეაქო: ისე კარგად ხმარობდით ბარს, თითქოს თქვენს სიცოცხლეში სულ ხელში გჭეროდეთო. მერე კი პატიჟზე გადავიდა: თუმცა ხეხილი თქვენი სკოლის ეზოშიც ბევრია, იმდენი, რომ, როგორც შემიტყვია, გასაყიდადაც აბარებთ ხოლმე, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, ირემმა ირემს ბალახი მოუკითხაო, ჰოდა, გვეწვიეთ, როცა ჩვენი ბაღი შეთვალდებაო.

მათი საუბრის ყურისმგდებელი გოგონები ჩუმჩუმად იცინოდნენ: ვითომ ძია ვალოდიამაც თავისი ტოლები მონახა, ისე ეჭუკჭუკებაო, ჩვენ კი, რადგან ქალები ვართ, ზედაც არ გვიყურებსო.

ლაპარაკში მარინე ბერუჩაშვილი ჩაერია: მიზეზი ეგ კი არ არის, ჩვენი სამუშაოა იოლი და ბიჭების ძნელი, ისინი მეტ პატივს იმსახურებენ და თავსაც იმიტომ დასტრიალებენო.

გოგოები ყვავილნარს ჩაჰკირკიტებდნენ, დიდი სიფრთხილით ასუფთავებდნენ სარეველებისაგან, ისე, რომ მცენარეებისათვის არა მოეტეხა ათ-რა.

— მე თუ მკითხავ, — ამბობდა მარინე, — სამკერვალო ფაბრიკას აქ მუშაობა მირჩევნია. ტვირთს არც აქ ეწევიან და არც იქ და რა მნიშვნელობა აქვს, ბიჭი იქნები თუ გოგო. ხოლო, რაც შეეხება პროდუქციას, სად კაბა და სად ელმავალი. შენ რას იტყვი, თამრო, სკოლას რომ დავამთავრებთ, აქ ხომ არ დავიდოთ ბინა?

— მერე რა: ჩვენ არც პირველები ვიქნებით და არც უკანასკნელები, რამდენი ჩვენი სკოლელია აქ და ჩვენს მოსვლამდეც რამდენი შეემატება. მერედა რატომ? უთუოდ იმიტომ, რომ მოსწონთ აქაურობა: სამუშაო, ადამიანები, გულისხმიერება.

— რომ მოვალთ, ერთმანეთი სოცშეჯიბრებაში გამოვიწვიოთ, — არ ისვენებდა მარინე.

— მერედა, რომ დაგჯაბნო? — ჩაეკითხა თამრო.

— ვერ მაჯობებ. აბა ნახე, ჩემი გაწმენდილი კვალი რა სუფთაა, არც ყვავილები გადამიყირავებია, შენი კი რა დღეშია!

თამრიკოს, მართლაც, ბარე ორ-სამგან დაეზიანებინა გვირილები. ამხანაგის ნათქვამი ენიშნა და გადაბრეცილ ყვავილებს გასწორება დაუწყო.

ყვავილნარში მუშაობდნენ მეოთხეკლასელი პიონერებიც. ზეინაბ ცაბაძეს და ნანა ელიაშვილს მოთხრილი ბალახები საზიდრით გაჰქონდათ, თამარ ტალახაძეს, ნანა მეფარიშვილს და ნანული თხინვალელს ღორღი ერთ ადგილას დაეგროვებინათ, — საზიდრის გათავისუფლებას ელოდნენ.

და ასე, მხიარულ ფუსფუსში, თანდათან და შეუმჩნევლად მიილია სამუშაო დღე.

— შაბათობა დამთავრდა. — გამოაცხადა ჯულიეტა ხელმძღვანელმა. — ძია ვალოდია ჩვენს ნამუშევარს აღრიცხავს და რა თანხაც მოგვიწევს, ვიეტნამელი ბავშვების ფონდში გადაირიცხება.

პიონერები ნელი ნაბიჯით ტოვებდნენ ქარხნის ეზოს, თანაც ხშირ-ხშირად მოუხედავდნენ თავიანთ ნარგავებს, [illegible]ებიც შორიდანაც გამოირჩეოდნენ, რადგან გარშემო ნაბარავი მიწის გაშრობა მზეს ჯერაც ვერ მოესწ[illegible]ო და ნესტის მუქი ფერი დაჰკრავდ[illegible]. მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, ძველი და ახალი ნარგავების საზღვარს წარწერიანი ფირფიტაც კარგად მიანიშნებდათ: „ერთგული ხელი ვიეტნამელ მეგობრებს“!

ეთერ სახვაძე.

ფოტოს. პ. ბოტორაშვილისა.

[illegible] რესპუბლ[illegible]

ვლადიმერ მაიაკოვსკი — ადამიანი-ეპოქა

თამაზ ბიბილური

ჩვენი ეპოქის უდიდესი და უნიჭიერესი პოეტი... რევოლუციის ტრიბუნი... პროლეტარული მასების მგზნებარე მომღერალი... ასეთად იცნობენ ვლადიმერ მაიაკოვსკის მსოფლიოში. ასეთად აღიარეს მისი პოეზია პოეტური სიტყვისა და აზრის ჭეშმარიტმა დამფასებლებმა. ასეთად იცნობდნენ მაიაკოვსკის რევოლუციის პირველ დღეებში. ასეთად ხედავს მას დღევანდელი თაობაც, ხედავს — მებრძოლს, მოაზროვნეს, მომწოდებელს, დიდი რწმენით განმსჭვალულს, მძიღეგნელს და მეოცნებეს.

ლიტერატურაში მაიაკოვსკის მოსვლა მღელვარე დღეებში მოხდა: ოქტომბრის რევოლუცია. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. კომუნისტური პარტია. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ბრძოლა ხალხის უფლებებისათვის. საყოველთაო რევოლუციური აღმავლობა. რევოლუციის მოსაპპოვრის დაცვა. შეჯახება და მძაფრი ქიდილი იდეებისა. ყოველივე ქვეყნისა და დახავსებულის დაორუხვა. შენება ახლისა, რევოლუციურისა, საქვეყნოსი.

ამ მღელვარე დროში — მაიაკოვსკის პირველი ლექსები, სრულიად ახლებური, აზრით და ფორმით ნოვატორული, ჭაბუკი პოეტის სულიერ ქუჩაში გადადნობილი, მისი მღელვარე გულით ნაგრძნობი და მახვილი მზერით დანახული. სოციალისტური რეალიზმის უფიქმდებლისა და კლასიკოსის — მაქსიმ გორკის პირველი გულთბილი გამოხმაურება: „ის ახალგაზრდაა, მხოლოდ ოცი წლისაა. მყვირალა და თავაწყვეტილი. მაგრამ უდავოდ, სადღაც, ბუნების სიღრმეში აქვს გამოუშღეგებელი ნიჭი. მისთვის საჭიროა მეშაობა, სწავლა და ის დაწერს კარგ, ნამდვილ ლექსებს“.

ოცი წლის ჭაბუკი პოეტი — რევოლუციურ რუსეთში!

მანამდე კი — ბავშვობის წლები,

ვ. მაიაკოვსკი.
ფოტოგრაფია ბ. ულრაკიანისა.

ჩვენთან, საქართველოში, სოფელ ბაღდათში გატარებული.

საქართველო მაიაკოვსკის სამშობლოა.

თავისი სამშობლოსათვის ერთგული შვილის მადლიერება ვლადიმერ მაიაკოვსკის მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. პოეტის სულიერ ჩამოყალიბებაზე ღრმა კვალი გაავლო შთაბეჭდილებიანმა ბავშვობამ, იმერეთის ულამაზესმა სანახებმა, ბაღდათის ზეცამ, ქვეყნ ქუთაისის კოლორატულმა ქალაქურმა ცხოვრებამ, ბაგრატის შეტყველმა ტაძარმა, გელათის ცისფერმა გადასახედმა. მოგვიანებით, როცა მაიაკოვსკიმ საკუთარ თავზე ჩამოაგდო სიტყვა, ამბობდა: მე პოეტი ვარ, და ამით ვარ სინტერესო. ვწერ ჩემს სიყვარულზე, აგრეთვე კაკაესის ბუნების სიმშვენიერზე — ოღონდ თუ ეს სიტყვად ჩამოიქნაო. იმავე ნაწარმოებში, რომელსაც ავტორმა „მე თვითონ“ დაარქვა, ოფიციალურ ანკეტურ მონაცემებს გვაწვდის: „დავიბადე შვიდ ივლისს 1894 წელს (თუ 93 წელს — დედის აზრი და მამის ნამსახურობის სიის გადმონაცემი ერთმანეთს არ უდგება. ყოველ შემთხვევაში, ამაზე არა უადრეს). სამშობლო სოფელი ბაღდათი, ქუთაისის გუბერნია, საქართველო“.

საკუთარი რომანტიზმის ფესვებს მაიაკოვსკი აქვე, ბაღდათის პოეტურ შემოგარენში ეძიებს: „პირველი სახლი, რომელსაც გარკვევით ვიგონებ. ორი სართული. ზედა ჩვენ გვეკუთვნოდა. ქვედაში მარანი იყო. წელიწადში ერთხელ — ყურძნით სავსე ურმები. წურავდნენ. მე ვჯაფდი. ისინი სვამდნენ. ყოველივე ეს უძველესი ქართული ციხის ტერიტორიაა ბაღდათთან. ციხეს ოთხკუთხედად დაზვინული მიწა აქვს შემოვლებული. ქუთხეებში ზარბაზნების უკუსაგორებელი ადგილებია. ზვინულებში სათოფურებია. ზვინულებს იქით — თხრილები. თხრილებს იქით — ტყეები და ტურები. ტყეებს მოები დაკუურებენ. წამოვიზარდე, ავრბოდი ყველაზე უფრო მაღალზე. მოები ჩრდილოთისაკენ დაბლდებიან. ჩრდილოეთით წყვეტილია. ოცნებაში ეკრესეთი მეხატებოდა. წარმოედგინლად მიმიწევდა იქითკენ გული“.

ბაღდათელი მეტყველი — ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკის ოჯახში მხატვრული სიტყვისადმი დიდი პატივისცემა სუფევდა. მომავალი პოეტის პირველი დიდი ლიტერატურული შთაბეჭდილება — „დონ კიხოტი“ ყოფილა. („აი წიგნი! დავამზადე ხის ხმალ-აბჯარი და ვეკვეთე გარშემო ყველაფერს!“). შემდგე ქუთაისის გიმნაზია. პირველი შთაბეჭდილება. რევოლუციური გამოსვლები ქუთაისში. პროკლამაციები. გათველო ლამაზ მოგონებად დარჩა. კარგა ხნის მერე, უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი-ტრიბუნი გულთბილ სტრიქონებს უძღვნიდა საქართველოს, მეგობრობდა ქართველ მოღვაწეებთან და არასოდეს ავიწყდებოდა, რომ ქართველი იყო:

„როგორც კი დავიდგი
ფეხი კავკასიას,
მყისვე მომაგონდა,
რომ მე
ქართველი ვარ“.

„ეკლესიის
მეცნობა
აჭ ყველა მტკაველი,
ის ციხეც
ის არის,

სახლი მაიაკოვსკეში, სადაც დაიბადა ვლ. მაიაკოვსკი.
ნახ. ვლ. ცაბარელისა.

ვითცნობიერება. „გაჩნდა სიტყვა „პროკლამაცია“. პროკლამაციებს ქართველები ჰკიდებდნენ. ქართველებს ცაზაკები ჰკიდებდნენ. ჩემი ამბანაგები ქართველები იყვნენ. ვიწყვე ცაზაკების შეჭეღება“, — იხსენებს პოეტი.

მაიაკოვსკის ცხოვრებაში საქართ-

ეგრე ბგავს:
„ქედან ბუმღერდი —
შოთა რუსთაველი
თამარს, დიდს სიყვარულს,
მეფე — ქალს“.

. . .

დიად,
ქართველი ვარ,

ახალი ნაციის,
არც დავიწყებულის მხარისა.
მე
შემავალი ვარ
ერთ ფედერაციის
საბჭოთა
დიდ
მთა და ბარისა".

მაიაკოვსკის შემოქმედება სრულიად თავისებური სიტყვა იყო მდიდარ რუსულ ლიტერატურაში. ახალი სამყაროს პათოსი, ახალი ეპოქის მძლავრი მაჯისცემა, ახალი რიტმი პოეტის განუმეორებელ ლექსს ელვარე შუქით მოსავს. მის ლექსში ჩვენ გვესმის რევოლუციის მძლავრი აზვირთება, აგუგუნება იმ დღეებისა, რომლებმაც შესძრეს მთელი მსოფლიო. გვესმის ღონიერი რიტმი გრდემლთან შეჭიდებული ეროსი და ჩვენს წინ თითქოს იჭედება ახალი ცხოვრება. ვლადიმერ მაიაკოვსკი მთელი თავისი შეგნებით, პოეტური გულით, ახალი ეპოქის, რევოლუციური ეპოქის პირმშოა. რევოლუცია და მაიაკოვსკი ჩვენს წარმოდგენაში განუყრელი ცნებებია. თვით პოეტის გარეგნობაც კი რაღაც დიდს, ამაღლებულს, მძლავრსა და დაუოკებელს მიგვანიშნებს.

დღევანდელ ახალგაზრდა თაობას მაიაკოვსკი უცქერის მომწოდებელი, შთამაგონებელი მზერით, მისი რწმენით აღსავსე სტრიქონები ჩვენს სულში პოეტსა და მებრძოლს აღვიძებენ. მაიაკოვსკისათვის პოეტი იყო მასების წინამძღოლი, ხალხის ჭირ-ვარამის მოზიარე, ყოველივე დრომოჭმულის დამამხობელი და მომავლის მჭედელი. მრავალი ლექსი, რომლებიც საბრძოლო პათოსით, ახალი მშენებლობის ცეცხლით აღგვაგზნებენ; ღონიერი, ეპოქის სულისკვეთების გამომხატველი პოემები; რევოლუციის მტერთა წინააღმდეგ ამხედრებული სატირა; გონებამახვილური, სადღეისოდაც აქტუალური კომედიები; ურიცხვი პოლიტიკური პლაკატი, მოწოდება — აი, ვლადიმერ მაიაკოვსკის მძლავრი შემოქმედება. ეს შემოქმედება ჩვენ გვაგონებს დიდ აზვირთებულ მდინარეს, რომელსაც ძალას და ენერგიას მატებს მშობლიური მთებიდან ჩამოსული შენაკადები, რომელსაც ძალუძს ყველა დაბრკოლებასთან შეჭიდება; რომელსაც ძალუძს ახალი ჰიდროსადგურების მძლავრი ტურბინების ელექტროენერგიად გადაქცევა, ამ მძლავრ ენერგიას კი — ახლის შექმნა და დაფუძნება.

მაიაკოვსკიმ, ერთ-ერთმა პირველთაგანმა მთელს საბჭოთა ლიტერატურაში, უმღერა დიდი ბელადის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გენიას. ლენინი — მოაზროვნე, ლენინი — მებრძოლი, ლენინი — მასების აზრი, რევოლუციის ტრიბუნი... ასეთია მაიაკოვსკის წარმოდგენით დიდი ლენინი.

ჩვენს ხელთაა ჩანაწერები, მოგონებები, საგაზეთო ქრონიკები, რომლებიც ნათლად გვიხატავენ, თუ რაოდენ შთამაგონებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მაიაკოვსკის ლექსები და პოემები მასებზე. ცნობილია, თუ რა გატაცებით, რა გულწრფელი პათოსით კითხულობდა თავად პოეტი საკუთარი შემოქმედების ნიმუშებს. მას ყველგან დიდი სიყვარულით ხვდებოდნენ. როცა მაიაკოვსკი ლექსს კითხულობდა მოსკოვის რომელიმე ქარხნის მუშათა წინაშე, იგი ამ მუშათა განცდებს გამოხატავდა. როცა ის ეწვეოდა ოკეანისგადაღმა, კაპიტალისტურ ქვეყნებს, მაიაკოვსკის საბჭოთა პასპორტი შურისა და შიშის გრძნობას იწვევდა. მაიაკოვსკის ლექსი კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული მრისხანე იარაღი ხდებოდა.

მაიაკოვსკი კითხულობს პოემას „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი". 1924 წლის 23 ოქტომბერს „რაბოჩაია მოსკვა" წერს: „დარბაზი გაჭედილი იყო. პოემა მთელმა დარბაზმა ერთსულოვანი აპლოდისმენტით მიიღო. გამართულ კამათში რიგი ამხანაგებისა ამბობდა, რომ ეს ნაწარმოები უძლიერესია მათ შორის, რაც კი ოდესმე დაწერილა ლენინზეო. სიტყვებით გამოსულთა დიდი უმრავლესობა ერთზე შეთანხმდა — პოემა სავსებით ჩვენია; ამ პოემით მაიაკოვსკიმ გაიკეთა დიდი პროლეტარული საქმე".

საბჭოთა ხელისუფლების ათი წლისთავზე მაიაკოვსკი კითხულობს თავის მეორე პოემას — „კარგი!" იგივე „რაბოჩაია მოსკვა" წერს: „საათნახევრის განმავლობაში შეუნელებელი ყურადღებით ისმენდა აუდიტორია ნიჭიერი პოეტის ახალ ნაწარმოებს. ზოგჯერ კითხვას აწყვეტინებდა მოწონების შეძახილები და აპლოდისმენტი... კრების მიერ მიღებული რეზოლუციის მიხედვით მაიაკოვსკის პოემა „კარგი!" საბჭოთა ლიტერატურის სხვა ნაწარმოებთა შორის განიხილება წინგადადგმულ ნაბიჯად და გამოყენებული უნდა იქნეს პრაქტიკულ მუშაობაში, როგორც მხატვრული აგიტაციის საშუალება". განათლების მაშინდელი სახალხო კომისრის ა. ლუნაჩარსკი აზრით კი „მაიაკოვსკიმ ოქტომბრის ათი წლისთავისათვის შექმნა პოემა, რომელიც ჩვენ უნდა მივიღოთ, როგორც შესანიშნავი ჰიმნი ჩვენი რე-

„ოკნო სატირი" — ფრაგმენტი, ნახატები ვლ. მაიაკოვსკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლუციისადმი, რომელშიც არ არის არც ერთი ყალბი ნოტი, და რომელიც მუშათა აუდიტორიებში აპლოდისმენტს იმსახურებს".

აპლოდისმენტებს იმსახურებდა პოეტის რწმენა, დღევანდელობის ფხიზელი გონებით აღქმა და შეგნება, ხვალინდელი დღის განჭვრეტა.

ვინც ამ ქვეყანას
ჰგვის, აშენებს,
მე მათ შევხარი, —
ვინც დაუცხრომლად
შრომობს, იბრძვის,
აქვს მტკიცე ნება.
ვაქებ სამშობლოს,
რომელიც დღეს
ჩემს თვალწინ არი,
მაგრამ სამწილად —
მას ვუმღერი,
რაც ხვალ იქნება".

პოეტი — მთელის არსებით, მთელი თავისი ადამიანური ბუნებით მებრძოლი — ასეთად დარჩა მაიაკოვსკი ხსოვნაში. „ასეთი დიდი ადამიანი, ასეთი გოლიათური ხმის პატრონი, ვინც ერთად შეყრილ ათას კაცსაც კი აიძულებდა გაჩუმებულიყო და დაუფიქრებლად პოულობდა პასუხს ყოველი მათგანის კითხვაზე", — ამბობს პოეტის და ოლგა მაიაკოვსკაია. პოეტ დემიან ბედნის თქმით, მას ჰქონდა ეპოქის ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი და სისხლსავსე გული. პოეტ ვ. ბრიუსოვის აზრით, მაიაკოვსკის ბობოქარი სტილი და გაბედული ენა ჩვენი პოეზიის მასულდგმულებელი ფერმენტი იყო, ხოლო იმავე ა. ლუნაჩარსკის თქმით, „მაიაკოვსკი, ეს — სიცოცხლე იყო, სიცოცხლე!"

დღეს პოეტ მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავს ვზეიმობთ. ქვეყანამ, რომელსაც მაიაკოვსკიმ მიუძღნა მთელი თავისი ნიჭი და მგზნებარე გული, უკვე ნახევარსაუკუნოვანი ისტორია გაიარა. რაც დრო გადის, უფრო მეტად, მთელი გულით ვგრძნობთ მაიაკოვსკის პოეზიის მოქალაქეობრივ პათოსს, შთამაგონებელ ძალას, მიმზიდველობას. მაიაკოვსკის რწმენა ჩვენი რწმენაა. მისი ლექსები და პოემები თითქოს დღეს, ჩვენს თვალწინ იწერება. მისი შემოქმედება შთაგვაგონებს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, მომავლის რწმენას, რევოლუციის მონაპოვრისადმი ერთგულებას, მეგობრობას, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩვენს ჭეშმარიტ, ადამიანურ მოვალეობას.

პოეტი-ტრიბუნი დღესაც იბრძვის, შრომობს და იმარჯვებს.

ლექსი საბჭოთა პასპორტზე

ბიუროკრატიზმს
მგელივით
დავკბენ.
მანდატებს
თავზე ლაფი დავასხი.
ეშმაკისა და ჯანდაბისაკენ
ყველა ქაღალდი,
მაგრამ ამას კი...
ამ გრძელ რონოდას
მოჰყვება კაცი —
ზრდილობიანი ვიღაც მოხელე.
საკუთარ პასპორტს
მას ყველა აწვდის
და ჩემს ალისფერ
წიგნსაც
მოხედეს.
ზოგიერთ პასპორტს
ღიმილი ნაზი,
და აბზუება ზოგიერთს
ტუჩის;
ინგლისურისა,
ლომი
რომ აზის,
პატივისცემა
არავის უჭირს.
გამოცოცხლდება
მოხელე
მყისვე,
მას თავდაბალი
ზრდილობა ახრჩობს,
და ვით საჩუქარს,
აიღებს ისე
ამერიკელთა
პასპორტს.
ვით თხა აფიშას —
პოლონურს ისე
უცქერის,
ხვნეშის
და იხევს უკან.
და სპილოს გოგრა
ლუღლუღებს მყისვე:
გეოგრაფიის
შეცვლილა რუკა?
თავის გოგრა არ
მობრუნებულა, —
და გულს
არცერთი
გრძნობა არ შესწვდა,
როცა დანიის
მიაქვთ პასპორტი
და ათასნაირ,
სხვადასხვა
შვედთა.
თითქოს
მდუღარემ
ტუჩები
დასწვა,
მოექცა ყბები
ამ ადამიანს,
როს თვალი მოჰკრა
და ხელით
დასწვდა
ვეება პასპორტს
წითელკანიანს.
ასე იღებენ
ყუმბარას,
ან ზღარბს,
ან სამართებელს
ორპირ
გალესილს,
ასე იღებენ ხელში
საზიზღარს
გველს ათასნაირ
შხამით დაგესლილს.
მტვირთავმა
თვალი ჩამიკრა,
ჩანდა:
მზად არი ბარგი წამიღოს
მუქთად.
მაგრამ ჯაშუში
უცქერის ჟანდარმს,
მერე ორივე
მე დამემუქრა.
ის, რომ შეეძლოს,
გამამათრახებს,
ჟანდარმთა ჯიში
მომკლავს
და მომსპობს,
მხოლოდ იმიტომ,
რომ მე ვატარებ
ჩაქუჩ-ნამგლოვან
საბჭოთა
პასპორტს.
მე ქაღალდების
არ მაქვს პატივი,
ბიუროკრატობას
მგელივით დავკბენ,
ქაღალდებს თავზე
ლაფი დავასხი,
ეშმაკისა და
ჯანდაბისაკენ
ყველა მანდატი,
მაგრამ ამას — კი...
ვიღებ ჯიბიდან
და მახალისებს,
თითქოს
საგანძურს ძვირფასს ვალაგებ.
წაიკითხეთ და
შურით აღივსეთ:
საბჭოთა ქვეყნის
ვარ მოქალაქე.

თარგმნა მ. პატარიძემ.

ქეოჯილები

გივი გუთხუზი

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

ვოთხროგა

— იცი, აქ რისთვის შემოგიყვანე?

— რისთვის?

— ხანჯლები შემოვირტყათ და ისე წავიდეთ. აქ მთაა, ვინ იცის, გზაში რა შეგვხვდეს. აჰა, ეს შენ! — თურმანმა გრძელი, ბრტყელპირა ხანჯალი ჩამოიღო. — ეს, იცი. როგორია? — თქვა და ქარქაში გააძრო, ხანჯლის წვერი იატაკს მიაბჯინა, შუა ადგილზე მუხლით მიაწვა და მშვილდივით მოღუნა. მერე მოაშორა და ხანჯალი ისევ გასწორდა.

— ოჰო! — გაიკვირვა ნოდარმა.

— ნახე როგორა სჭრის! — საიდანღაც მტკავლის სიგრძე ლურსმანი მოიტანა, დადო იატაკზე. დაარტყა ხანჯალი და ისე ადვილად გადაჭრა, როგორც მანეულის წკეპლა. ხანჯლის პირს კი არაფერი დატყობია.

თურმანმა თავმომწონედ გაიღიმა.

— ეს მამის პაპის პაპის ნაქონია. მას ... ვია. ხარს თურმე ერთი დაკვრით აგდებინებ... მაცი და გულადი კაცის სახელი ჰქონია გავარდნილი. ერთხელ თურმე ლომისობას ხატის კარს ლუდის სასმელად მჯდარა. ქონოღოდან მოამბე მისულია: აქ რას უზიხარ, დები ლეკებმა მოგტაცესო. ამის თქმა და, გადამჯდარა ცხენზე, კანტალებს მგელქეშად დასდევნებია, ფუძნართან წამოსწევია, ათს ერთი შებმია და ტყვეები დაუყრევინებია.

თურმანმა ხანჯლის საკიდში ვერცხლის ქამარი გაუყარა და ნოდარს წელზე შემოარტყა. მაგრამ ბიჭს ქამარიც დიდი მოუვიდა და ხანჯალიც. ტარი რომ ჭიპთან სცემდა, ბუნიკი კოჭამდე სწვდებოდა. ნოდარს შერცხვა. მხრებში უხერხულად შეიშმუშნა და თქვა:

— არ გვინდა ხანჯლები, დაგვცინებენ, ჯოხები დავიჭიროთ.

თურმანმა ძმობილს დაუჯერა.

მერე ტანსაცმელი გამოიცვალეს. თურმანმა ნოდარა თავისები დაუთმო. თბილად ჩაიცვეს. კარი გაიკეტეს და ეზოში ჩავიდნენ. აიღეს კომბლები და ბატკანი წინ გაიგდეს.

თეოზე მოუოლილი ზღაპრები

მთაში საღამო ხანს ავიდნენ. ბატკანმა იქაურობა დასუნა, მერე ნაპირზე გავიდა და ბალახი მოძოვა.

ცივი, ტეხიანი ნიავი ქროდა და ქედებზე ნისლის ქულებს დააჯირითებდა. მწყემსებს ბინა პატარა ვაკობზე დაედოთ. ცხვრის ნადგომზე ბალახი ერთიანად გადათელილიყო, დრემლითა და მწვირით მოკალოებულ ადგილზე აქა-იქ ამოშვერილი სიპების წვეროები თეთრად მოჩანდა. იქვე მწყემსების დაკეცილი ნაბდები ეწყო. ცეცხლის ნანთებთან კანგაცლილ ჩხაზე გუდები, ქვაბები და ქეთლი ეკიდა.

აღმართზე სიარულით დაღლილ ნოდარს ოფლი თანდათან შეაშრა, შესცივდა და ქურთუკი ჩაიცვა. თურმანისეული შალის სამოსი კანს უხეხდა, ფეხებზე მატყლის წინდები ეჩოთირებოდა, ქურთუკსა და ხალათს რძის, ყველისა და ცხენის მძაფრი სუნი უდიოდა.

მზის ჩასვლისას სერიდან ფარა გადმოემართა. წინ მწყემსი მოუძღოდა, მერე კიდევ ორნი გამოჩნდნენ.

ცხვარი თეოს ძოვნით მოუახლოვდა. საყარზე შექუჩდა.

ბატკნებმა და დედებმა ბღავილით ერთმანეთი იპოვეს...

მწყემსებმა ბიჭებს ახედ-დახედეს.

— რა გინდათ აქა? — შეეკითხა მარტია.

— ბატკანი ამოვიყვანეთ.

— მაშ რაღად მიჰყავდა მამაშენს... ეს ვინ არის? ჰკითხა თურმანს შეთემ და ნოდარს შეხედა.

— აქ რომ თავმჯდომარე იყო ერთი ქალაქელი, იმის შვილია. ამ ზაფხულს ჩვენთან უნდა იყოს.

დასასრული. იხ. „პიონერი" № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცხვარში რომ მოგყავდა, ამალამ იცით აქ რა მოგელით?

— რა უნდა მოგველოდეს, დავწვებით და დავიძინებთ.

— შენ კი, მაგრამ ესა? — ბოიგარმა ნოდარს შეავლო თვალი.

— არც მაგას დაუშავდება რამე! — თქვა თურმახმა.

...შეთემ ქეთლით წყალი მოიტანა. მწყემსებმა ჯამში ხმელი ხაჭო ჩაიფშვნეს, მერე ცივი წყალი დაასხეს, ხაჭო გათქვიფეს, შიგ პური ჩაფშვნეს და უბრალო, ცივ ვახშამს მადიანად შეექცეოდნენ.

თურმანმა გეჯებში წყალი ჩაასხა და ძაღლებს ჩაუტანა. ასეთი დიდი და ბანჯგვლიანი ძაღლები ნოდარს ჯერ არ ენახა.

— არ გეშინია? — შეეკითხა თურმანს.

— მიცნობენ.

— მე ხომ არაფერს მერჩიან?

— სანამ არ შეგეჩვევიან, ხელი უბრალოდაც არ აუქნიო, თორემ...

როცა ძაღლებმა სასვარი შეთქვლიფეს, თურმანმა გუდიდან პურის ნატეხი ამოიღო, ნოდარს მისცა და უთხრა:

— აჰა, ძაღლებს დაუძახე, პატარა ლუკმებად დაუმტვრიე, გადაუყარე და თანაც მოეფერე, თანდათან მოგეჩვევიან.

ნოდარმა პური გამოართვა და ჰკითხა.

— რა ჰქვიათ?

— ტოტია, ბასარა, ბოთვერა...

— ცუგი, ცუგი... ტოტი, ბასარ, ბოთვერ, აქ მოდით!..

ძაღლები კუდის ქიცინით გამოიქცნენ და უცნობ ბიჭს მიაჩერდნენ. ნოდარმა პური დაუყარა მათ, მიუალერსა.

...მწყემსებმა ივახშმეს, ნაბდები მოიხვიეს და ფარას ირგვლივ წამოუწვნენ.

დაბინდდა, ცადაზიდული მწვერვალები თანდათან გაუჩინარდნენ. სიბნელემ ყველაფერს შავი ფარდა გადააფარა, მხოლოდ მოციაგე ვარსკვლავები ვერ წაშალა. თეოზე დაყრილი ცხვარი ძნაჩაშლილ კალოსავით მოჩანდა. ხეობებში ჩავარდნილი ჩანჩქერები დათოფილი ნადირივით ბრდღვინავდნენ. ხან შურთხი აჩქამდებოდა სადღაც, ხან კი ხაშალი თოხლი ახველდებოდა ფარაში.

ბიჭებმა ნაბდები მოიხვიეს და ბოიგარის გვერდით მიწვნენ.

— მამაშენი იყო ქალაქში? — შეეკითხა თურმანს ბოიგარი. —

— კი, მეც თან ვყავდი.

— რა ამბებია თბილისში?

— არაფერი.

— ცხელა?

— ძალიან.

— რა ნახე ახალი, აბა მიამბე!

— არაფერი.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ.

— ამოიღე ხმა, ბიჭო! — მიუბრუნდა თურმანს ბოიგარი.

— რა ვთქვა?

— ქალაქში იყავი, კაცო, რა ნახე, რა გაიგე ახალი-მეთქი. შენ კი გაიძახი — არაფერიო.

— რა გიამბოთ, პაპა ბოიგარ, ახალი არაფერი გამიგია.

— ახალი მაინტერესებდა, თორო ძველი ხო მეც ვიცი.

— იცით და გვიამბეთ! — გაუბედა ნოდარმა.

— ფანცქალა შოშიის ამბავი გაგიგონიათ?

— არა! — ბიჭები ერთბაშად გამოცოცხლდნენ.

— მაშ მისმინეთ.

ფანცქალა შოშიის ამბავი

იყო და არა იყო რა... ყველა ზღაპარი ასე იწყება და, ბარემ პირდაპირ ვიტყვი, რომ იყო ერთი შოშია. სამი ბარტყი ჰყავდა. ერთს მსუნაგა ერქვა, მეორეს — ცქვიტა, მესამეს — ფანცქალა.

ერთხელ ფანცქალამ იმდენი იანცა, რომ ბუდიდან გადავარდა და მიწაზე საცოდავად აფართხალდა. ამ დროს ბუჩქებიდან გარეული კატა გამოვარდა. ის იყო ბარტყისათვის პირი უნდა დაეცა, რომ გულგახეთქილმა დედამ კატას ზედ ცხვირწინ ჩაუქროლა, მერე იქვე დაჯდა და ფრთების ფართხუნით გაიქცა.

კატა გამოეკიდა. დედამ მტერი ახლოს რომ მიუშვა,

ფრთები გაისწორა და კარგა მანძილზე გაიტყუა. მერე აფრინდა და ხეზე შეჯდა.

კატას დაავიწყდა ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი და შოშიას ხეზე აჰყვა. შოშია კი ტოტიდან ტოტზე გადადიოდა, ხიდან — ხეზე და, შორს რომ გაიტყუა, მერე თამამად გაშალა ფრთები და გაფრინდა! რა თქმა უნდა, ისევ იმ ადგილას მიფრინდა, სადაც საყვარელი ბარტყი ეგულებოდა.

ფანცქალას ბუდეში აყვანა დედას აღარ შეეძლო. შოშიამ ისღა მოახერხა, რომ იმ ადგილიდან ფანცქალა შორს გააჩოჩა და ხშირ ბუჩქებში დამალა. საჭმელს იქ უზიდავდა, დაჰხაროდა, დაჰკანკალებდა. რაკი ბარტყს ყოველ წუთს საფრთხე ელოდა, ყველაზე მეტად მასზე ზრუნავდა და ამიტომ სხვებზე უფრო შეუყვარდა.

გავიდა ხანი. ფანცქალა მოიბუმბლა, დაფრთიანდა, ფრენა შეიძლო და ისეთი კარგი ხმა დაუდგა, რომ მის გალობაზე ახლომახლო ფრინველები სიამოვნებისაგან თვალს ნაბავდნენ.

ერთხელ იმ ტყეს არწივმა მაშინ გადაუქროლა, როცა ფანცქალა გალობდა. ფრინველთა მეფემ იგი მიიხმო, თვალები დაუბრიალა, ხმა კიდევ უფრო დაიბოხა და უთხრა:

„ხვალ წვეულება მაქვს, აუცილებლად მოდი და სტუმრები მომილხინე. იცოდე, ბულბულს აუცილებლად უნდა აჯობო, თორემ სიკვდილით დაგსჯი“.

„დიდო მეფეო, ბულბულის მჯობნი არა ვარ“.

ფანცქალამ უამბო, როგორ იყო საქმე.

დედამ შვებით ამოისუნთქა და უთხრა:

„ხვალამდე დიდი დროა, ვინ იცის, რა მოხდება. წინასწარ გულს რაზე იხეთქავ. ადე და ტოტებში გაერეთ, გაერთე და არწივის მუქარა დაგავიწყდება“.

ფანცქალას ეწყინა, რატომ არ შევეცოდეო.

გათენდა მეორე დილა. ფანცქალა ისეთ დღეშია, წამდაუწუმ გული მისდის. დედა ასულიერებს, ანუგეშებს, მაგრამ შვილს არაფერი ესმის.

აი, ამოიწვერა მზეც და ტყეში ჩიტების ჟივილ-ხივილი გაისმა.

ფანცქალა კი სულს ებრძვის. ელოდება, აი მოვლენ არწივის გამოგზავნილები და დასასჯელად წამიყვანენო.

სადილობამ რომ მოატანა, ფრინველთა მეფის გულშემატკივრები მოფრინდნენ და უთხრეს:

„არწივი გარდაიცვალა, წამოდი, იგლოვე“. (თურმე იმ დილით მონადირეებს მოეკლათ).

„აბა, რომ არ მიჯერებდი?“ — უსაყვედურა დედამ.

ფანცქალა სიხარულისაგან ტოტიდან ტოტზე ფრთხიალებდა, ჯალობდა და გალობდა...

— გამოიცანით, რას გვეუბნება ეს ზღაპარი?

ბიჭები დუმდნენ.

— კაცმა იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგოს, — დაასწრო ნოდარს თურმანმა.

— სწორია! სახრჩობელაზეც რომ ჩამოგკიდონ, მაინც უნდა გქონდეს ხსნის იმედი.

„სულერთია... ხვალ აუცილებლად მოდი“, — ბრძანა და გაფრინდა.

დაღონდა ჩვენი ფანცქალა, ჩაჯდა ბუდეში და აღსასრულს დაელოდა.

მოფრინდა დედა და რას ხედავს: ფანცქალა მკვდარივით გულაღმა წევს. ფრთები აქეთ-იქით გადაუშლია, ფეხები მაღლა აუშვერია, თვალები დაუხუჭავს, პირი გაუღია...

შოშიას გული კინაღამ გაუსკდა, შვილი კარგად გასინჯა და საღსალამათი რომ ნახა, გაკვირვებული შეეკითხა:

„რა დაგემართა?“

„არწივი დამემუქრა“.

„რადა?“

— კიდევ, ბოიგარ ჰაპავ!..

— სამი ხარის ამბავი იცით?

— არა.

— მომისმინეთ!

ამბავი სამი ხარისა

ხარზე ალალი და სასარგებლო პირუტყვი არა არის რა ამ ქვეყნად. იტყვით, სხვა საქონელმა რაღა დააშავაო. არა, ხარია მარჩენალი ყველასი! ეს ზღაპარიც ცხონებული ბებიაჩემისგან მოვისმინე. იყო სამი ხარი: ნისლა, შვინდა და გიშერა. სამივე ერთ კაცს ეკუთვნოდა. შრომობდნენ ხარები პატიოსნად. არც პატრონი ჰყავდათ უმადური: ხარებს შვილებივით უვლიდა, არაფერს აკლებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ღამეს ბაკში მგელი შევარდა, მაგრამ ხარებმა უტიეს, კუთხეში მიაგდეს და ის იყო რქებით უნდა გაესრისათ, რომ რუხმა მტაცებელმა თავი მოისაწყალა და უთხრა:

„რას მერჩით, თქვენთვის სიკეთე მსურდა. მთაში, ერთ მიუდგომელ ადგილას, მუხლამდე ბალახი მეგულება და იქ უნდა წამეყვანეთ“.

ხარები დაფიქრდნენ.

„ის ადგილი ჩემი საკუთარია, იქ ხმას ვერავინ გაგცემთ, წამოდით, გეპატიჟებით“.

ხარებმა დაუჯერეს, ბაკი გადაამტვრიეს და წაჰყვნენ.

მთაში დასვენებამ, კარგმა საძოვარმა, სუფთა ჰაერმა და წყალმა თავისი გააკეთა — ხარები ისე დასუქდნენ, ტყავში ვეღარ ეტეოდნენ. დღისით ჩრდილში ისვენებდნენ, ღამით საძოვრად გადიოდნენ.

ერთ საღამოს მგელმა შვინდას და გიშერას უთხრა:

„გუშინ თქვენი პატრონი გეძებდათ, თანაც გაბრაზებული იმუქრებოდა. თუ სადმე გნახათ, ნამდვილად თავებს დაგჭრით“.

„ჩვენ ხომ დღისით ვიმალებით, ღამით ვძოვთ, როგორღა გვიპოვნის?“ — ინუგეშეს თავი ხარებმა.

„მართალია, მაგრამ ეგ თქვენი ძმა ნისლა ღამით თოვლივით თეთრად ანათებს, შორიდანაც კარგად ჩანს, მაგის დამნახავი ნამდვილად მოგაგნებთ“.

„რა ვქნათ?“ — „ჰკითხეს ხარებმა.

„რა და... იგი თავიდან უნდა მოვიშოროთ“.

ხარები შეყოყმანდნენ.

„მაგას მე მოვუვლი, ოღონდ თქვენ ნუ მიეშველებით“.

ბევრი ფიქრის შემდეგ შვინდა და გიშერა დათანხმდნენ.

მგელი მიეპარა ნისლას, ეცა ყელში და ძირს დასცა. საწყალი ხარი რამდენს ეხვეწა ძმებს, მიშველეთო, მაგრამ შვინდამ და გიშერამ ყურიც არ უგდეს. მარტოს კი მგელი ადვილად მოერია და შეჭამა.

ცოტა ხანი რომ გავიდა, ტყიური ახლა გიშერას ჩაეცივდა:

„გინდა თუ არა, ეგ შენი ძმა აუცილებლად უნდა მოვიშოროთ“.

„რატომ?“

„რათა და... ღამე ცეცხლივით წითლად ანათებს, შენი პატრონი როდისმე დაინახავს და, მერე ვაი შენცა და მეცა“.

„როგორ მოვიქცეთ?“

„მაგას მე გავუსწორდები, ოღონდ შენ ნუ მიეშველები“.

„კარგი, შენ იცი“, — ნება მისცა გიშერამ.

მგელი შვინდას ყელში ეცა და...

კიდევ ცოტა ხანი რომ გავიდა, ღორმუცელა მგელი ახლა გიშერას გაეთამაშა და უთხრა, რაც უნდოდა.

გიშერა აღრიალდა, მაგრამ ვინღა მიეშველებოდა?!

ბოიგარ პაპამ თხრობა რომ დაამთავრა, იკითხა:

— ეს ზღაპარი რაღას გვასწავლის?

— მტერს არ უნდა დაუჯერო, — თქვა ნოდარმა.

— სწორია! კიდევ?

— მოძმეს არ უნდა უღალატო! — წამოიძახა თურმანმა.

— მართალია! გარდა მაგისა?

— მოყვარეს არ უნდა გაუორგულდე...

— ყოჩაღ, ბიჭებო!

— კიდევ გვიამბეთ.

— გეყოფათ, ახლა დაიძინეთ, ზოგიც მერე!..

დელგმა

შუაღამისას ცივმა ქარმა დაუბერა, სადღაც წვიმის ღრუბლები აშალა, დამფრთხალი აქლემების ქარავანივით დაირეკა და, თითქოს დაწერილ დაფას ჩვარი გადაუსვაო, ვარსკვლავები წაშალა, ცა ერთიანად გამურა. მერე გაიჭექა, ელვამ შორეულ მთათა ორწოხები წამით გაანათა და წვიმა ჯერ კანტიკუნტად წამოვიდა, მერე ერთბაშად მოხსნა ჰირი და კოკისპირული დაასხა.

მთაში ავდარს მეგზურად ცივი ქარი აუძღვება ხოლმე და არემარეს ლეგა ნისლით ისე დაბურავს, შუადღეც რომ იყოს, ერთ ნაბიჯს იქითაც ვერაფერს დაინახავს კაცი. სადაც ავდარი მოგისწრებს, ალაგობრივ იქ უნდა დარჩე, თორემ თუ აქეთ-იქით სიარული დაიწყე, ციცაბოზე გადაჩეხვა არ აგცდება. ამიტომ მწყემსები ფართო ტრიალ ადგილზე ბინავდებიან, რომ მოსალოდნელი ღვართქაფის დროს ცხვარს უფათერაკოდ მოუაროონ.

სწორედ ასეთ ამინდში იცის ნადირმა გადაკიდება. შეშინებული ფარა ერთიანად ადონდგოლდება, ზღაპრულ მრავალფეხას დაემსგავსება და აბოკერებული ხან ერთ ადგილს მიაწყდება, ხან მეორეს; ხან წინ გაიქცევა, ხან უკან დაიხევს.

მთელი ღამე ფარას თავს დასტრიალებენ უდროოდ ძილწაგვრილი მწყემსები. არის ყვირილი და ძაღლების გნიასი. ნადირი კი უფრო გაავებული იწევს, ცდილობს ფარას რამე მოსტაცოს და, რამდენადაც ვერ ეწევა საწადელს, იმდენად უფრო აფთრდება.

* * *

ერთბაშად ამოვარდნილი ქარი, ალიონზე ერთბაშად ვე ჩადგა.

წვიმამ იკლო, ნისლი გადაიკრიფა.

ფარას ნადირი შეეშვა. ცხვარი დამშვიდდა... ის იყო კომბლებზე დაყრდნობილმა მწყემსებმა თვალი მოატყუეს, რომ მშვენიერი დილაც გათენდა. ადგილიდან ჯერ არც ცხვარი იძვროდა, არც კაცი. ძაღლებსაც ღრმად ეძინათ.

კარგად რომ გათენდა, ფარის ქეჩი წამოდგა, გაიზმორა, ნაპირზე გავიდა და ბალახი მოძოვა. მას მეორე მიჰყვა, მეორეს-მესამე, მერე კი მთელი ფარა იალაღზე გაიშალა.

ფხიზელი ძილი იციან მწყემსებმა, მათ სმენას არაფერი გამოეპარება, მაგრამ სანამ ცხვარი კარგა შორს არ გავიდა, მანამ არც ერთი არ წამოდგა.

პირველად ბოიგარ პაპამ წამოიწია, ჩაახველა და ფარას გახედა. მერე კი შეთემ მარტია გააღვიძა და სამივენი ცხვარს გაჰყვნენ.

ცოტა ხნის შემდეგ თურმანმაც გაიღვიძა, დაამთქნარა და ძმობილისკენ გადაბრუნდა, მას ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა. „ნოდარ“ — წაუჩურჩულა, მაგრამ ბიჭს წამწამიც არ შეურხევია. „ნოდა-ა-არ“, — ხმამაღლა გაუგრძელა. რაკი ამჯერადაც არ გაინძრა, თავი დაანება. ნაბადში გაეხვია და თვალები დახუჭა, მაგრამ ვეღარ დაიძინა: უნებურად დედა გაახსენდა, მერე — მამა. რას იფიქრებდნენ, წუხელ რომ შინ არ მივიდნენ. ვინ იცის, რამდენი ეძებეს... აღარ გაახსენდა, მეზობლებისთვის მაინც დაებარებინა, — ცხვარში მივდივართ და ბატკანიც მიგვყავსო. ან წერილი მაინც დაეტოვებინა. იმ არაყის ბრალია ყველაფერი.

არა, ახლავე უნდა წავიდნენ, თორემ გული გაუსკდებათ...

ადგა, თვალები მოიფშვნიტა, ზმორებით მიმოიხედა. მზიანი დილა იდგა, მაგრამ ციოდა — მთების მწვერვალები ჩამოეთოვა და იქედან სუსხიანი ქარი უბერავდა.

ნაბადი ისევ მოიხვია და გაიარ-გამოიარა, მერე ნოდარს დახედა, რა მაგარი ძილი სცოდნიაო, გაიფიქრა და აღარ გააღვიძა. აქეთ-იქით დაიწყო სიარული. ნაბადი გრძელი იყო და ათრეული კალთებით სველ ბალახს ფარცხავდა. „მოდი, სანამ ნოდარი გაიღვიძებს, გადაღმა გადავალ და მჭივანას დავკრეფ“... — ჩაილაპარაკა, ნაბადი იქვე გაფინა და ფერდობს ირიბად შეუყვა.

ფრიალოზე

ნოდარმა რომ გაიღვიძა შუადღე იყო, უღრუბლო ციდან მზე თუმცა პირდაპირ დაჰყურებდა მიწას, მაგრამ არ ცხელოდა. გრილი ნიავი უბერავდა და ველებზე წამოყელყელავებულ ყვავილებს ეშუშპრებოდა. იალაღს თეთრად, წითლად, ყვითლად და ლურჯად აჭრელებულ ქათიბს უვარცხნიდა.

წამოჯდა, გაიხედ-გამოიხედა — ახლომახლო არავინ ჩანდა. შიმშილი ერთბაშად იგრძნო. მივიდა ჩხასთან და გუდიდან სველი პური ამოიღო. ნაწიბურს ცოტა მოატეხა, ჩაკბიჩა. გუდაში წყალი ჩამდგარიყო და სველ საჭმელს ცხვრის დუმის სუნი უდიოდა...

ორიოდე ლუკმა უნდომლად გაღეჭა, ნატეხი ჯიბეში ჩაიდო და მწყემსების საძებნელად წავიდა. თურმანი მათთან ეგონა. იფიქრა: აქ სადმე ახლოს იქნებიან და მალე ვიპოვნიო.

მზეზე თეთრად აელვარებული ღრუბლები თოვლიან გრეხილებზე ჩამომსხდარიყვნენ და დაღლილი გედებივით ისვენებდნენ. ხეობებში რძისფერი ნისლი ზღაპრული ვეშაპივით ჩაბუდებულიყო.

„ნეტავი მეც გავეღვიძებინე... უჩემოდ რატომ წავიდნენ, ან სად არიან?...“ გორაზე ავიდა, მერე დაღმართს ფრთხილად ჩაუყვა.

დაბლა, ხევში, ნაკადული ჩხრიალებდა. „როგორი პატარაა და რა ხმა აქვს. აქ რომ მტკვარი მიდიოდეს, არემარეს გააყრუებდა“.

ხელ-პირი დაიბანა და ისევ აღმართს შეუდგა. ფერდობზე წამდაუწუმ ფეხი უსხლტებოდა, კვლავ დაღმა მისრიალებდა. მერე გეზად დაიწყო გასვლა. ხევს კარგა დიდი მანძილით რომ გასცდა, თითქმის თვალჩაუწვდენელ უფსკრულს ჩახედა.

რა მაღლა იყო! აქედან ძლივს მოჩანდა რუხ რიყეზე ვერცხლისფრად დაკლაკნილი ალაგ-ალაგ აქაფებული მდინარე. ვინ იცის, დაბლა როგორი ხვივილი იდგა, აქ კი ჩქამიც არ აღწევდა.

ისევ უკან გამობრუნდა. ერთ ადგილას ფეხი მოუსხლტა და დაღმა დაქანდა. შეშინებული იმ წამსვე პირქვე გადმობრუნდა და მიწა მოფხოტნა, მაგრამ მჯიღში მხოლოდ ამოგლეჯილი ბალახი შერჩა და, როცა ის-ის იყო ფლატეზე უნდა გადავარდნილიყო, ბედად კლდის თავზე ამოსულ ურძნის ბუჩქს სტაცა ხელი... ცოტა გადაიხარა და ფრიალოზე თასმასავით გადაიკეცა. ურძნაზე ერთხანს უძრავად გაჩერდა, მერე უმწეოდ აქანავდა და ფლატეზე დასაყრდენს ფეხებით დაუწყო ძებნა. ცალი ფეხი კლდის შვერილს ძლივს მიაწვდინა და ცახცახით ზედ დაებჯინა. მერე ტოტს ოდნავ დაბლა ჩაანაცვლა ხელები და ორივე ფეხით შიბზე გაჩერდა. გაიხედ-გამოიხედა, მაღლა აიხედა და მთელი ხმით იყვირა.

ნოდარი რა იქნა?

თურმანმა მუკუდო მოწყვიტა,გაფცქვნა და შეჭამა. ალბათ შიოდა, ამიტომ ჩვეულებრივზე უფრო გემრიელი ეჩვენა. ნამიან ფერდობზე წაკუზულმა ამ ბალახის თვალიერება დაიწყო.

დაჰკრეფს, ძალიან ბევრს დაჰკრეფს, მერე შეყოლიებს, თეოზე მიიტანს და ორივენი მადიანად შეექცევიან. ამასობაში კიდევაც დათბება და შინისკენ მოუსვამენ.

რა კარგი ბიჭია ნოდარი!.. ასე ძალიან რატომ შეუყვარდა? უთუოდ იმიტომ, რომ ძმა არა ჰყავს... მაგრამ განა აქაური ბიჭები ნოდარზე ნაკლები რითიმე არიან? არა, ყველანიც კარგებია, მაგრამ ნოდარი...

შარშან სულ ერთად იყვნენ: ერთად იძინებდნენ, ერთად თამაშობდნენ. ახლა ხომ ფიცვერცხლიცა ჭამეს! ძმადგაფიცული ძმასავით უნდა უყვარდეს. განა ასე არ არიან მამის ძმობილები? ჭირი აქვთ თუ ლხინი, დაუპატიჟებელს არა სტოვებენ. არჩილს დასჭირდებიან რამეში და, მაშინვე ძმებივით მხარში ამოუდგებიან.

სანამ სწავლა არ დაიწყება, არ გაუშვებს, მთელი ზაფხული გვერდით ეყოლება. რა იქნება, ნოდარი სულაც რომ სოფელში დაიტოვონ? ვითომ რა, არ დაანებებენ დეიდა მაგდანი და ბიძია დავითი?

მუკუდო და მჭივანა ბლომად დაკრიფა, რძიანათი შეკონა, ამოიღლიავა და უკან გაბრუნდა. თეოს რომ მიუახლოვდა, გაფენილი ნაბდები კი დაინახა, მაგრამ ნოდარი არსად ჩანდა, როცა ახლოს მივიდა, მიმოიხედა და დაიძახა — არავინ გაეხმაურა. კოხები იქვე დაყარა და დაფიქრებული წუთით შეყოვნდა. იქნებ მეძებსო, გაიფიქრა და აქეთ-იქით სირბილი და ძახილი დაიწყო. როცა ვერსად იპოვნა, მწყემსების მოძებნა გადაწყვიტა — იქნებ იმათთან ვეგონე და იქ წავიდაო. კარგა ხანს იარა და, ბოლოს, ძლივს მიაგნო მეცხვარეებს. ნოდარი თქვენთან ხომ არ მოსულაო, დაუძახა. არაო, გამოჰკივლეს გაღმიდან მწყემსებმა.

თურმანს გული აუჩქროლდა. მუკუდოც დაავიწყდა და მჭივანაც. იმ წამსვე სოფლისკენ მოკურცხლა — შეიძლება შინ წასული ვეგონე და ისიც წამომყვაო. ცოტა გულიც მოუვიდა: რატომ არ იფიქრა, რომ თეოზე მარტოს არ დავტოვებდი, უმისოდ სად წავიდოდი.

აგერ, სოფელიც.

ხომ არაფერი ეწყინა ნოდარს? აბა, რატომ წავიდა? ან სად წავიდა? ნეტავი ახლა კი შინ დახვდეს და!..

აი, სახლიც. მაგრამ რატომ არის კარი გადარაზული? აივნის კიბესთან რატომ წამოწოლილა ბასარა? ვინ აუშვა?

ძაღლი თურმანის დანახვაზე წამოხტა და ტანზე შეეტოტა.

— გადი იქითა! — ჩამოიშორა და კიბე სწრაფად აირბინა.

დედას საწოლებზე გაშლილი ლოგინი აულაგებელი დაუტოვებია, შინ კაცის ჭაჭანება არ არის. რა იქნენ, სად წავიდნენ?

ტანსაცმლის კარადა გამოაღო. ნოდარისა ყველაფერი იქვე ეკიდა. მისი ახალი ფეხსაცმელებიც იქ იყო.

დაფეთებული ისევ აივანზე გავიდა. შეიძლება ერთმანეთს გზაში ავცდითო, გაიფიქრა და კიბეზე დაეშვა. ეზოში ჩასულს ბასარამ კვლავ შესწკმუტუნა და აფორიაქებულ ბიჭს ძუნძულით აედევნა.

თემშარაზე გასულმა წყაროზე მიმავალი მეზობლის ქალი დაინახა და დაუძახა:

— დეიდა თებრო!..

იგი მაშინვე მობრუნდა და მკვახედ დაუტატანა:

— სად დაიკარგეთ!

„ერიჰაა... ვერ არის საქმე კარგად!..“ — მუხლები მოუდუნდა, გულდამძიმებული ერთ ადგილზე გაჩერდა.

— თქვენი გულისათვის აწრიალებულია მთელი სოფელი, სად ჯანდაბას ეყარენით!

თურმანს ცრემლებმა დაუბინდა თვალები. გული ყელში მოებჯინა, უკან გაბრუნდა.

— მოიცა, სად მიხვალ! — ეძახის მეზობელი.

რაღა მოიცადოს, გასაგებია ყველაფერი. მირბის თურმანი და მისდევს ბასარაც. რაღა ქნას ახლა, სად წავიდეს? მთელი სოფელი დაგეძებთო, მაშ რატომ ვერავინ შეხვდა? ალბათ, ასცდნენ. ჰოდა, ჯერ რა არის სატირალი, იქნებ ნოდარიც ასევე ასცდა, ანდა... იქნებ ვინმემ იპოვნა.

ახლა სადღა წავიდეს? სად და ისევ მთაში, ისევ იმ ადგილას, სადაც გაითიეს. იქნებ ნოდარი ამაო სიარულის შემდეგ ისევ იქ მივიდა და ელოდება?

სოფელს კარგად რომ გასცდა, პირი იალაღებისაკენ იბრუნა. ისედაც დაღლილს ქშენა აუვარდა და აღმართს ნელა შეუდგა.

ძაღლი ახლაღა შეამჩნია. ენაგადმოგდებული და აქა-ქასებული ბასარა ბიჭს ხან წინ გაურბენს, ხან უკან ჩაბმორჩება, გოქშოებისა და იელის ბუჩქებს მოუსუსტებლებს. ჩქარი ნაბიჯით მიმავალ პატრონს ისევ წამოეწევა და კვლავ გაასწრებს.

კარგი ძაღლია ბასარა, მაგრამ ახლა რომ მისთვის არა სცალია! შარშან მამას პატარა ლეკვი აჩუქა მათემატიკის მასწავლებელმა. არჩილს მისი დაგეშვისა და გაწვრთნისათვის არ ეცალა და საუკეთესო ჯიშის მეძებარი, ნაგაზივით უყურადღებოდ იზრდებოდა. მაინც კარგი ძაღლი დადგა. პატრონის საქონელს სხვებისაგან ისე არჩევს, როგორც ადამიანი. ეზოში შემთხვევით შემოსულ წვრილფეხსა და მსხვილფეხს წუთითაც არ აჭაჭანებს და, მზის კაცს მეტი რა უნდა!

თურმანი სერზე ავიდა და მიმოიხედა. რატომ ვერავის ხედავს? მთელი სოფელი საძებნელადაა წამოსული და სად არიან?

რამდენჯერმე დაიძახა და, რაკი პასუხი არ მიიღო, ისევ გზა განაგრძო.

აი თეოც. ნაბდები ისევ ისე ხელუხლებლად აწყვია. მუკუდო და მჭივანა უკვე დამჭკნარა. რაც აქედან წავიდა, ჩანს, ნოდარი აღარ დაბრუნებულა, თორემ მუკუდოს ნაჭამი მაინც დახვდებოდა. საკვირველია, რა იქნა, საით წავიდა...

თურმანს ირგვლივ გამეფებულ მდუმარებაში მხოლოდ საკუთარი გულის ბაგაბუგიღა ესმოდა. ღრმად ჩაისუნთქა და ნოდარს მთელი ხმით დაუძახა. ცოტა ხნის შემდეგ კი თავისივე ხმის სუსტი, ძლივსგასაგონი ექო მოესმა.

იმედის ნაპერწკალი

ნოდარს ორივე ხელი ურძნის ტოტისათვის ჩაუვლია, ფეხები კლდის შვერილზე უდგას და გაღმა ზვავებისაგან ჩამოშლილ კალთებს გასცქერის. დაბლა კი...

დაბლა ჩახედვა ზარავს, თავბრუს ახვევს და, ასე ჰგონია, როგორც კი უფსკრულს ჩახედავს, უმალვე მოუტყდება ტოტი, კლდეზე გადავარდება. ამიტომ თავი ოდნავ მაღლა აწეული უჭირავს და გაღმა იალაღებს გასცქერის. როცა მაღლა ცქერით კისერი ეტკინება, თვალებს დახუჭავს და ნიკაპს მკერდზე დაიბჯენს.

ოი, როგორ დაიღალა!.. მუხლები მოუდუნდა, ხელებში, მხრებში, იდაყვებსა და თითებში მტეხავმა ტკივილმა დაუარა... რამდენი საათი იქნება, რაც ასეა? არა, მაინც როდემდის უნდა იყოს ასე, როდემდის?.. აი, თურმე რატომ არ უშვებდნენ სოფელში! მაგრამ შარშანაც აქ არ იყო? მაშინ სულ სოფლის ახლომახლო თამაშობდნენ... აქ რომ არ წამოსულიყვნენ... ბატკნის გულისათვის, თორემ მთაში რა ესაქმებოდათ!..

რა უნდოდა აქ, რა!.. აღმართ-აღმართ სიარულს მოერიდა, ფერდობებს გეზად გამოჰყვა და აი, სად მოვიდა! ეგონა, თანდათან გაივაკებდა... რა იცოდა, თუ ბალახზე ფეხი დაუსხლტებოდა. რას მოიფიქრებდა, თუ დაცემული დაღმა დასრიალდებოდა. კიდევ კარგი, ბუჩქი დაუხვდა და იმას სტაცა ხელი....

მუხლებში ერთიანად მოწყდა, მეტი აღარ შეუძლია. როდემდის იდგეს ასე?! დილით თურმანი მწყემსებს გაჰყვებოდა, ცოტაზე გააცილებდა, მერე ისევ დაბრუნდე-

ბოდა, მივიდოდა თეოზე და ძმობილი რომ აღარ დახვდებოდა, დაუწყებდა ძახილს, მერე ახლო-მახლო მიდგებ-მოდგებოდა, ბოლოს შინ გაიქცეოდა. რამდენი საათი დასჭირდებოდა სახლამდის? დაღმართია და შინ სულ სირბილით ჩავიდოდა... მერე მთელ სოფელში გავარდებოდა ხმა—ბიჭი დაიკარგაო. წამოვიდოდნენ, მთებსა და ტყეებს მოედებოდნენ... როცა ყველგან მიივლ-მოივლიან და ვერსად ნახავენ, მეტი გზა არ ექნებათ, მერე აქეთაც გამოიხედავენ, მაგრამ ეყოფა კი ძალა მანამდის? დაიღალა, ძალიან დაიღალა!

მაღლა აიხედა. ცაში მობოინე შევარდენს მოჰკრა თვალი. ფრთებგაშლილი ლაჟვარდში ლაღად ნავარდობდა. გაუშტერა თვალი და შეეხარბა — რა კარგი იქნებოდა ახლა რამდენიმე წუთით მაინც თვითონაც ფრინველად გადაიქცეოდეს: გაშლიდა ფრთებს, აფრინდებოდა და პირდაპირ იქ დაჯდებოდა, სადაც წუხელ ეძინა. თუ არავინ დახვდებოდა, შეჰკრავდა კამარას და სოფელში ჩაფრინდებოდა.

„აბა ერთი დავიძახო, იქნებ ვისმე გავაგონო...“ — გაიფიქრა, თავი მაღლა ასწია, ღრმად ჩაისუნთქა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა იყვირა. მაგრამ ჰაერი დიდხანს აღარ ეყო, მალევე გაჩუმდა და სმენად იქცა. სადღაც ძაღლმა დაიყეფა, იქნებ მწყემსები ცხვარს თეოსაკენ ძოვნით მიაყოლებენ?

იმედი მიეცა. კვლავ დაიძახა და ისევ სმენად იქცა. სიხარულისაგან აჩქროლებული გული წამებს ჩქარჩქარა ითვლიდა, პასუხს ელოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცის ხმა გაიგონა.

ძმა ძმისთვისაო...

— საით მიდის ეს ტიალი, აქეთ რა უნდა!.. — ჩაილაპარაკა თურმანმა და ძაღლს გახედა. იგი კუდის ქნევით პირშეღმა მიცუნცულებდა.

— ბასარ!

ძაღლი შეჩერდა, დაიყეფა, მერე წკმუტუნი გააბა, მიწას დასუნა და სვლა განაგრძო. იქეთკენ აიღო გეზი, სადაც საძოვარი მთების სამხრეთი კალთა ციცაბოდ ეშვება და ფრიალო კლდის შიბიან კედელს სახლის სახურავივით დამრეცად ედგმის. ამბობენ, ამ ადგილას ძალიან გემრიელი ბალახი მოდის, მაგრამ მწყემსები, თუ წრიაპები არ უკეთიათ, ვერ ბედავენ იქ ცხვრის მირეკვას. თურმანს სხვებისაგან გაუგონია, რომ იქ გავლა სახიფათოა და, ახლა რა ძალას მიჰყავს ძაღლი იქით, რა ეგულება?

ფეხთ გაიხადა და ციცაბოზე ფრთხილად გავიდა. ცოტაზე რომ გაიარა ერთ ადგილას ძაღლი შეჩერდა და დაიყეფა. მერე რაღაც ხმა მოესმა. მოესმა კი, მაგრამ უცბად ვერ გაერკვა, მართლა ვინმემ დაიძახა თუ მოეყურა. თვითონაც შეჩერდა, კეცივით დაყუდებულ ფერდობს ხვლიკივით მიეკრა და დაიძახა. მერე გაჩუმდა და იქაურობა კარგად მოათვალიერა. რამდენიმე წამი და იქვე, სულ ახლოს, ძალიან ნაცნობი ხმა მოესმა. გაუკვირდა: „ნუთუ ნოდარია?! კი მაგრამ, აქეთ რამ წამოიყვანა, აქ ვის ეძებდა?.. იქნებ ის არ არის... სულ ერთია, რომ ვიღაცაა...“

— რომელი ხარ?

— ნოდარი!

ნოდარიო? ნუთუ ყურმა მოატყუა? არა, კარგად გაიგონა! კი, ნოდარია!

კიდევ დაუძახა.

პასუხიც მაშინვე დაუბრუნდა.

გულზე მოეშვა, ფერდობზე ფრთხილად განაგრძო სვლა.

ბასარა კუდაქიცინებული წკმუტუნებს, თანაც ფერდობზე ნელნელა მისუნსულებს.

— რა ადგილასა ხარ, ბიჭო?

— ბუჩქის პირდაპირ!.. ჩქარა!

შეჩერდა და ის ადგილი კარგად მოათვალიერა. ძნელი ჩასასვლელია. ადვილად შეიძლება მოწყდეს და დაგორდეს. ალბათ, ნოდარსაც ასე დაემართა... ფერდობს ჩახედა და გაიფიქრა: „მივდივარ კი, მაგრამ რა ვუშველო, რით, როგორ?...“ უცბად გაახსენდა, რომ ქამარი ერტყა. გახარებულმა მყისვე შემოიხსნა, მაგრამ ვაი რომ მოკლე იყო, თანაც, შეიძლებოდა გაწყვეტილიყო... კვლავ დაფიქრდა. ტანზე რომ დაიხედა, მოისაზრა: შარვალს, ხალათს, მაისურს გავიხდი და ერთმანეთზე გადავაბამო...

ფრთხილად განაგრძო ცოცვა და ურძის ბუჩქს თანდათან მიუახლოვდა. ერთ ადგილას მიწა ფეხის თითებით ჩაჩიქნა, შიგ ქუსლები საიმედოდ ჩადგა, ერთმანეთზე გადაბმული ტანსაცმელი სიგრძივ ჩაშალა. წამით შეუყოყმანდა — ვაითუ გაიგლიჯოსო... როცა ბუჩქთან ჩავიდა, აკანკალებული შეჩერდა, ერუანტელმა დაუარა— მთელი სიგრძე-სიგანით მოჩანდა ხახადაღებული უფსკრული. ხელების კანკალით ფერდობს მიეკრა. მერე თითებით დაიწყო საფეხურების გაკეთება. მიწა კარგად რომ ამოღრუნტა, გულაღმა ამობრუნდა. ნათხარში ჩაამაგრა ქუსლები და ძმობილს ტანსაცმელისაგან გაკეთებული საბელი ჩააწოდა...

სიხარული

ვიღაცები სერზე მიდიან, მიაბიჯებენ დაღონებულები და დაქანცულები. ხანდახან შეჩერდებიან, დაიძახებენ: „ჰაა, თურმანოო!“ და კვლავ განაგრძობენ სვლას.

ერთ ადგილას შეჩერდნენ. უთენია სოფლიდან წამოსულებს აღმა-დაღმა სიარულმა და მოსალოდნელი უბედურების შიშმა ძალა წაართვათ.

— ჩემი ჩემია, და იმ ბალღის პატრონს რა პასუხი გავცე? — ბოლმას ვეღარ ფარავს არჩილი.

— მოიცა, კაცო, ბალღების ხმა მესმის! — უცებ იყვირა რომელიღაცამ.

არჩილმა ყურადღება დაძაბა. მართლაც, ბიჭების ძახილი თანდათან უფრო გარკვევით ისმოდა.

— ჰაა, არჩილ, გაიხარე — ისინია!

შეშინებულმა კაცმა ერთბაშად მაინც ვერ დაიჯერა, მაგრამ როცა გაღმა სერიდან დაღმა დაშვებული თურმანი და ნოდარი დაინახა, სიხარულმა ერთბაშად მუხლი მოკვეთა.

ახლა

რომ

თოთხმეტი

წლისა

ვიყო

მირონ
ხერგიანი

სოფიო კურატაშვილი გამოცდილებას უზიარებს ახალბედა მკერავებს.

ვკითხეთ ვეტერანი ოცნებები...

სიამაყის გრძნობა ეუფლება ადამიანს, როცა ათასობით თანატოლი მუშიდან უფროსები მას გამოარჩევენ, მისკენ გაიშვერენ ხელს და იტყვიან — აი, ის მადლიანი, ჩვენი კოლექტივი, საწარმო, ფაბრიკა რომ ასახელაო. ჩამოთვლიან მის ჯილდოებს, მის მიერ გაკეთებულ საქვეყნო საქმეებს... დაასახელებენ მის გამოზრდილ, ახლა უკვე სახელოვან მუშებს, თანრიგოსან სპეციალისტებს, ოსტატებს...

მაგრამ ეს აღიარება ერთბაშად როდი მოდის. ისევე, როგორც მილიონობით ჩამოღვენთილი წვეთისაგან იბადება უმშვენიერესი სტალაქტიდები და სტალაგმიტები, სახელის მოხვეჭასაც დრო, წლები, მოთმინება და ნებისყოფა სჭირდება...

თუმცა ყოველივე ამის შესახებ უკეთ მოგვახსენებს ღვაწლმოსილი მუშა, თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის ლენინის ორდენოსანი მკერავი სოფიო კურატაშვილი.

*

— როდის დაიწყო თქვენი შრომითი საქმიანობა? რატომ აირჩიეთ მკერავის პროფესია? — ვკითხეთ ქალბატონ სოფიოს.

— შრომითი საქმიანობა? — ჩაფიქრდა იგი. — აბა, სამოცს გადაცილებულ ქალს მახსოვს კი როდის დამსაქმა პირველად დედაჩემმა? ოჯახში პატარები ოთხნი ვიყავით. მამაჩემს უჭირდა ჩვენი რჩენა. როცა ოჯახში გაჭირვება და შიმშილია, ბავშვები ადრე კაცდებიან. ასე იყო ჩვენთანაც. თორმეტი წლისას უკვე სადიდო საქმეებს მავალებდნენ, ვასრულებდი კიდეც.

რაც შეეხება კერვის სიყვარულს, იგი კიდევ უფრო ადრე ჩაისახა ჩემში. მოგეხსენებათ, რა ცნობისმოყვარენი არიან ბავშვები. ისინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ უცხო, მანამდე უნახავი ნივთის მიმართ, რა გინდ უბრალოც იყოს იგი. იმხანად კი ასეთ იშვიათობას წარმოადგენდა საკერავი მანქანა! ბედად, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენმა მეზობელმა იყიდა იგი. რას შევნატროდით ეზოს ბავშვები იმ მეზობლის შვილებს! მახსოვს, რამდენჯერ მივსულვარ და გულისფანცქალით მიყურებია მანქანის მუშაობისათვის. მერე კი, ცოტა რომ გავთამამდი, მანქანის სახელურის დატრიალების ნება ვთხოვე. ჰოდა, დავუდგებოდი წინ, ვატრიალებდი და ვატრიალებდი, ვიდრე ქანცი არ გამომელეოდა... რა თქმა უნდა, თან იმის ხელების მოძრაობასაც ვაკვირდებოდი. შეიძლება ითქვას, უკვე შეგირდივით დავდიოდი მეზობლისას და მანქანის მიერ გავლებულ გვირისტს თვალგადევნებულს ხშირად ამომიყვია თავი ოცნებათა სამყაროში. ისეთი მარტივი და უბრალო ოცნება, ალბათ, არავის ჰქონია დედამიწის ზურგზე — ეს იყო საკერავ მანქანაზე ოცნება!

მაგრამ ოცნება იმისია, რომ უნდა ის-

ყოფო მისკენ. ჩემთვის მალე დადგა ნაფიქრის აღსრულების ჟამი! სამკერვალო ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა და იმ დღიდან მოყოლებული ბარე ათობით მანქანა გამოვიცვალე. ჰო მართლა, დედა მეუბნებოდა: შენზე ბედნიერი ქალი არც ვინ იქნება ამ ქვეყნად, რასაც ნატრობდი, აგისრულდაო.

ძნელი კი იყო, მაგრამ, როცა მონდომებაა, შეუძლებელს დასძლევ. ერთი სიტყვით ასე დაიწყო ყველაფერი...

— ორიოდე სიტყვით გვიამბეთ ომის წლებში თქვენი და სხვა მკერავი ქალების საქმიანობაზე.

— ომის წლებზე? — სოფიოს სახე შეუტოკდა. — იმ წლებში ფარაჯებს ვკერავდით. ჩემი ბიძაშვილები ომში იყვნენ და მე ვფიქრობდი იმათზე, და კიდევ მილიონობით მათს თანატოლზე, სამშობლოს რომ იცავდნენ. სხვა რამ ფიქრი არც გაჰკარებია იმ წლებში ჩვენს გონებას. ამ მძიმე ფიქრებით ვიჯექით მანქანასთან და ვკერავდით, ვკერავდით... მაშინ განსაზღვრული სამუშაო დრო ჩვენთვის არ არსებობდა — თითოეული ჩვენთაგანი სინდისის კარნახით ხელმძღვანელობდა. მე და ჩემი ამხანაგები ისედაც გადიდებულ გეგმებს ორასი — ორას ათი პროცენტით ვასრულებდით.

ახლაც თუ მოვკარი თვალი ჯარისკაცის ფარაჯას, ის წლები მახსენდება, შინმოუსვლელი ბიძაშვილები და ახლობლები დამიდგებიან თვალწინ. იმ წლებში თავდადებული მუშაობისათვის მიღებული მთავრობის მედლები და სხვა ჯილდოები ნაწილობრივაც ვერ ანქარვებენ იმ ნაღველსა და სევდას, ჩვენს ქვეყანაზე გადაქროლილ ქარიშხლიან დღეთა მოგონებას რომ ახლავს.

— ვინ იყო მთავარი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში?

— განსვენებული სოფიო ძიძიგური — სამკერვალო ფაბრიკის მაშინდელი ხელმძღვანელი. რამდენიმე თვის მისული ვიყავი ფაბრიკაში, რომ ქალბატონმა სოფიომ სხვებში გამომარჩია და რამდენჯერმე დამაჯილდოვა. არ ვიცი, რა დაინახა ჩემში ასეთი, თავიდანვე დედაშვილურად მეპყრობოდა, პასუხსაგებ საქმეებს მანდობდა.

ხელმძღვანელის ნდობა მეტს მავალებდა და როგორმე უნდა გამემართლებინა მისი ჩემდამი ასეთი ყურადღება. გეგმებს თავიდანვე გადაჭარბებით ვასრულებდი, მაგრამ უფრო მოვინდომე და ერთ-ორ წელში თითით საჩვენებელი ვიყავი. რა თქმა უნდა, ტრაბახით არ ვამბობ, მაგრამ პირველი სტახანოველი მკერავთა შორის საქართველოდან მე გავხდი... ეს მოხდა 1935 წელს.

მერე კი... თუმცა რაღა მერე — თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, 1966 წელს ლენინის ორდენი მივიღე. მთავარი და ყველაზე დიდი სიხარულის მომნიჭებელი, ცხადია, ეს ჯილდოა ჩემს მუშურ ცხოვრებაში.

— როგორი ურთიერთობაა თქვენი ფაბრიკის მუშებს შორის?

— ძალიან კარგი. ეს არის ამხანაგური, საქმიანი ურთიერთდამოკიდებულება. ჩვენთან სხვა ტანსაცმელთან ერთად, ქალის პალტოებიც იკერება. კერვის პროცესი კონვეიერულია. თითოეული ჩვენგანი მხოლოდ ერთ რომელიმე პროცესს ასრულებს. და აი, როცა „ნახევარფაბრიკატი" ჩემამდე მოაღწევს, ავხედ-დავხედავ, დავაკვირდები სხვის ნახელავს, რაიმე შეცდომა ხომ არ გაეპარა კოლეგას-მეთქი. თუ რამეს აღმოვაჩენ, უკან დავუბრუნებ. ამას, რასაკვირველია, ზედმეტი დრო და ენერგია მიაქვს, მაგრამ საქმეს ნამდვილად არგებს — ვიღაცის დაუდევრობამ მთელი კოლექტივის სახელი რატომ უნდა შებღალოს. ასევე მოექცევიან ჩემს ნახელავსაც, თუ რაიმე შეცდომას აღმოაჩენენ მასში.

— ახალგაზრდები თუ მოდიან ფაბრიკაში სამუშაოდ?

— მოდიან და მათი მოსვლა ყველაა დიდად გვახარებს: მე და ბევრმა სხვამაც სამოცს გადავაბიჯეთ, და სწორედ ისინი იქნებიან ჩვენი შემცვლელნი. იმათი ღირსეული აღზრდა ყველა ჩვენგანის ვალია .როცა ახალ შეგირდს მომიყვანენ, ახალგაზრდობის წლები და ქალბატონი სოფიო ძიძიგური მახსენდება... დაუზარლობა და მოსწავლის მიმართ გულისხმიერება და სიყვარულიც ორკეცდება ამ დროს.

ბევრი ახალბედა, რომელმაც ჩემს ხელში მიიღო მეოთხე თანრიგი, (სულ ხუთი თანრიგია) დღეს სახელოვანი მუშაა... აი, მაგალითად, ფოთოლა ერისთავი. იგი დასავლეთ საქართველოდან ჩამოვიდა, ბეჯითად მოეკიდა საქმეს და ყველას სიყვარული დაიმსახურა. მისი მსგავსნი ბევრნი არიან ჩვენთან. ვფიქრობ, ისინიც კმაყოფილებით იგონებენ ფაბრიკაში მოსვლის დღეს. რატომაც არა! აქ ხომ ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი შრომისა და შინაარსიანი დასვენებისათვის...

— პირადად თქვენ როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

— სამსახურის მერე რას ვაკეთებ? ბებიებს აბა თავისუფალი დრო როდის ჰქონიათ! ყველაზე მეტი დრო შვილიშვილებს მიაქვთ. ეს არის, ალბათ, ჩემი „აქტიური", შინაარსიანი დასვენება; გულში მალულ ოცნებას ვატარებ — ნეტავი მალე გაიზარდონ კუდრაჭები, რომ საკერავ მანქანას მოვუსხა და ჩემს ხელობაში დავაოსტატო-მეთქი. რა თქმა უნდა, ქმარ-შვილთან ერთად დავდივარ კინოსა და თეატრში. როგორც მოწინავე მუშა, ტურისტული საგზურით გაგზავნილი ვიყავი საზღვარგარეთ — ბულგარეთსა და რუმინეთში...

— რა გზას აირჩევდით, თავიდან რომ იწყებდეთ ცხოვრებას?

— ჩემს ახალგაზრდობაში ამდენი უმაღლესი სასწავლებელი და სწავლის ასეთი საშუალებები სად იყო! ახლა კი მირიადი გზებია, მირიადი საშუალებანი. მე არც ერთ შემთხვევაში არ შევაქცევდი ზურგს, არ ვუღალატებდი ბავშვობის ძველისძველ სურვილებს, ნირფერად გვირისტებს გადევნებულ ოცნებებს. კერვა ხომ ქალის საქმეა, მანდილოსანთა მოდგმის დამამშვენებელი! ისე კი, მისი ცოდნა არავის არ აწყენდა ქვეყანაზე, დიახ, არავის!

ფოტო ვ. გენგიურისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ე დ ო ბ ე ქ ი შ ვ ი ლ ი

ვ ა ბ ლ ე ბ ი

შენი მიწის და მზისა ვარ,
შენი ჩრდილის და მზვარესი,
შენს სიყვარულზე ნალესი
ხმალი ვარ, კაი ზნისა ვარ!
არ ჩავჟანგდები ქარქაშში,
შენს წმინდა სახელს ვფიცავარ!

შენი წარსულის მტილი ვარ,
ბურჯი ვარ შენი ტაძრების.

ამ მიწას ჩავენაცრები,
მხოლოდ ამ მიწის წილი ვარ.
შენით ვარ ქვეყნად ყელამდი,
განა უპოვარ-მწირი ვარ!

შენი იმედის ყლორტი ვარ,
შენი ტკივილის ნერვი ვარ.
სანამ მახსოვხარ — ბევრი ვარ,
თითზე სათვლელი როდი ვარ!

ვინა თქვა — მზესთან ვერ მივალ,
შენი იმედით მოვდივარ!

შენი მიწის და მზისა ვარ,
შენი ჩრდილის და მზვარესი.
შენს სიყვარულზე ნალესი
ხმალი ვარ, კაი ზნისა ვარ!
არ ჩავჟანგდები ქარქაშში,
შენს წმინდა სახელს ვფიცავარ!

ლ ო დ ე ბ ი

ნანგრევებს შორის რომ ბებერი
ცაცხვია,
იქვე რომ ვეება ლოდები აწყვია, —
იმ ლოდებს წინაპრის ნიშანი ატყვია.

წარსული მკვდარია,
თუ მხოლოდ გაოცებს.
ნუ გაუფრთხილდები კრიალა სამოსელს,
მიწექი ლოდების ხავსიან ხაოზე...

და იგრძნობ — წარსულიც,
მყობადიც აქვია,
იმ ლოდებს მომავლის
ნიშანიც ატყვია.

ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ

ᲯᲔᲙ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოუშვა გამოჩენილი ამერიკელი მწერლის ჯეკ ლონდონის საბავშვო მოთხრობა — „წინაპართა ძახილი“.

მოსამართლე მილერის ეზოს ძაღლს — ბეკს ათასი ხიფათი გარდახდება. პატრონის შინ არყოფნისას იგი ეშმაკურად გაიტყუა სადგურში მებაღის დამხმარე მუშამ მანუელმა, რომელთანაც ადრეც ბევრჯერ უსეირნია ბეკს. მანუელს, ეტყობა, ფული შემოელია და გადაწყვიტა ძაღლის გაყიდვა, მაგრამ მამა-პაპით ადამის ძეთა ერთგული და მოყვარული ბეკი როგორ იფიქრებდა, რომ მის მეგობარს გულში ასეთი ვერაგობა ედო. და, აი, ნაცემი, გათოკილი და შეურაცხყოფილი ვაგონით შორეული, ცივი ჩრდილოეთის გზას გაუყენეს, მერე კი რკინის ყუთში ჩასვეს. მასთან მიდიოდნენ უცნობი ადამიანები და ჯოხებით აღიზიანებდნენ, აბრაზებდნენ. მერე ბეკი მატარებლიდან მანქანაში გადაიყვანეს, ბორნითაც იმგზავრა... დაბოლოს, ისევ ვაგონში მოხვდა და უსმელ-უჭმელმა, დაღლილ-დაქანცულმა რის ვაივაგლახით ჩააღწია დაიას სანაპიროამდე... სადაც ძაღლური კი არა, ნამდვილი მგლური კანონები მეფობდა.

თუ რა თავგადასავლები დატრიალდა ბეკის თავზე ჩრდილოეთში, როგორ შეიცვალა და დაკარგა ადრინდელი თვისებები და ხასიათი, — ამის შესახებ შესანიშნავად მოგვითხრობს დიდოსტატი მწერალი.

ᲣᲐᲜᲩᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲘ

ᲡᲔᲠᲒᲝ ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

უდაბურ, ჭაობიან ველზე ცხოვრობდა უანჩა. გუბეებში მოყიყინე ბაყაყებით იკვებებოდა იგი. ამოჰყოფდა თავს ბაყაყი წყლიდან, ჩაჰკრავდა უანჩა გრძელ ნისკარტს და გადასანსლავდა.

გადიოდნენ წლები. უანჩა თავს ბედნიერად გრძნობდა თავის სამფლობელოში. ყოველ წელს ადრე გაზაფხულზე აკითხავდა მშობლიურ მხარეს, სადაც ძველი მეგობარი კაკაბი ეგულებოდა.

მაგრამ ერთხელ ცხელი ქვეყნებიდან მობრუნებული უანჩა სახტად დარჩა: სადღა იყო საყვარელი ჭაობი — მისი სამოსახლო და სამფლობელო! იგი არამკითხე სტუმრებს ამოეშროთ და ქარხნის მშენებლობას შესდგომოდნენ.

წაიკითხეთ გამოჩენილი ქართველი მწერლის სერგო კლდიაშვილის წიგნი და გაიგებთ, თუ რა მოხდა მერე უანჩას ცხოვრებაში, როგორ შეხვდა იგი თავის ძმობილ კაკაბსა და რა საუბარი ჰქონდა მასთან განშორების ჟამს.

ინტერნაციონალისტური სოლიდარობისთვის,

ეკონომიკის და ეკონომიკისთვის

ახალგაზრდობის და სტუდენტების X მსოფლიო ფესტივალი

სიტყვაკაცი ღიღ ზეიმზე

ამა თვის დამლევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში დაიწყება დედამიწის ყველა კუთხის რჩეულ ქალ-ვაჟთა ათეულ ათასობით წარმომადგენლების დიდი ზეიმი — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა X მსოფლიო ფესტივალი.

რა არის ფესტივალი?

სიტყვა ფესტივალი წარმომდგარია ლათინური სიტყვიდან — „ფესტივუს“ („სადღესასწაულო“). აი, უკვე ოცდაათი წელია ეს სიტყვა ახლებურად ეღერს მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე.

ფესტივალი — ეს არის სიმპატიის ზეიმი, ტალანტების დათვალიერება, სპორტული ასპარეზობანი.

ფესტივალი — ეს არის ახალგაზრდობის ბრძოლა მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობისათვის.

მსოფლიო ფესტივალების დაბადების დღე 1947 წლის 25 ივლისი, დაბადების ადგილი — ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა, სადაც პირველი საფესტივალო „მეგობრობის კოცონი“. ფესტივალების ორგანიზატორები არიან დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი.

ფესტივალის ემბლემაა გვირილა, რომელსაც აქვს ხუთი ფურცელი: ცისფერი, წითელი, ნარინჯისფერი, მწვანე და ყვითელი. ხუთი ფურცელი — ეს ხუთი კონტინენტის სიმბოლოა. ყვავილის ცენტრში გამოსახულია დედამიწის სფერო, ფესტივალის დევიზი და იმ ქალაქის სახელწოდება, სადაც ტარდება ფესტივალი. ეს გვირილა ჩვენს ქვეყანაში პირველად გამოჩნდა 1957 წელს მოსკოვში გამართულ VI მსოფლიო ფესტივალზე. იგი ცის უსაზღვრო სივრცეში კაშკაშებდა პროეკტორების შუქში გახვეული.

მეოთხედი საუკუნეა, ყველა ფესტივალზე, ახალგაზრდობის ყველა საერთაშორისო შეხვედრაზე გაისმის „დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი“, რომლის ტექსტი დაწერა სამეგობროს პოეტმა ლევ ოზნინმა, მუსიკა — კომპოზიტორმა ანატოლი ნოვიკოვმა. ჰიმნი პირველად აღიერდა 1947 წლის 17 აგვისტოს, პრაღის პირველ ფესტივალზე. იმ დღეს 72 ქვეყნის 17.000 დელეგატი და 200.000 ადგილობრივი მცხოვრები შეიკრიბა ვაცლავის მოედანზე. დედაქალაქის მთავარ მოედანზე ისინი მივიდნენ ანთებული ჩირაღდნებით, ლოზუნგებით, პლაკატებით, და მოწოდებად აგუგუნდა ეს ჰიმნი. მას შემდეგ, ყველა ფესტივალის გახსნისა და დახურვის დღეს გაისმის იგი სხვადასხვა ენაზე.

რა იქნება ბერლინის ფესტივალზე?

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა X მსოფლიო ფესტივალი გაიხსნება 28 ივლისს და გასტანს 5 აგვისტომდე. თავშეურის დევიზია: „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისთვის, მშვიდობისა და მეგობრობისთვის“. სიმპატიის ამ ზეიმში ას ოცდაათზე მეტი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

საკავშირო კომკავშირის წინადადებით ჩატარდება აქცია „ახალგაზრდობა ამხილებს იმპერიალიზმს“. მსოფლიოს ახალგაზრდობის წარმომადგენლები ილაპარაკებენ აგრესიულ ომებზე, მილიონობით ადამიანის სიღატაკეზე და მონობაზე, მილიონობით ბავშვზე, რომელთაც არ უწყიათ რა არის მერინი და ანბანი.

ჩატარდება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხებთან სოლიდარობის დღეები.

თითო დღე მიეძღვნება ახალგაზრდობის ბრძოლას თავისი უფლებებისათვის, ბრძოლას ქალთა განთავისუფლებისა და ბედნიერი ბავშვობისათვის.

ახალგაზრდობას უყვარს ცეკვა, სიმღერა. ფესტივალის დღეებში პირდაპირ ქუჩებში იმღერებენ და იცეკვებენ ქალაქვაილები და ჭაბუკები.

სტადიონზე მოეწყობა სპორტსმენთა პარადი. სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებს ყველა მსოფველი. გამარჯვებულნი ფესტივალის სპორტული ნიშნით დაჯილდოვდებიან.

ვალერემ პიკის სახელობის პიონერულ რესპუბლიკაში გაიმართება ბავშვთა საერთაშორისო ზეიმი.

ფესტივალის დროს განსაკუთრებულად ლამაზი სანახაგი იქნება ბერლინი. ქალაქს დაამშვენებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ფესტივალის მონაწილე სახელმწიფოთა ალმები, აგრეთვე ალმები ფესტივალის ემბლემით. გერმანელი პიონერების ხელით გაკეთებული ნაირფერი ვიმეელების ჯირჭანდები თავისებურ ლაბათს შეამატებენ ზეიმად მორთული დედაქალაქის ქუჩებს.

თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირმა ყველაფერი იღონა, რათა რაც შეიძლება უკეთ დახვდნენ სტუმრებს, მაღალ დონეზე ჩატარდეს საზღვარგარეთელ თანატოლებთან საუბრები და დისკუსიები, სპორტული ასპარეზობანი, ხელოვნების დარგთა ფესტივალი. კავშირის წევრებმა ფესტივალის ანგარიშზე ათი მილიონი მარკა ჩარიცხეს. ეს თანხა მათ თავად გამოიმუშავეს.

მიიღებენ თუ არა ფესტივალში მონაწილეობას ბავშვები?

ფესტივალის შესახვედრად თვეების მანძილზე ემზადებოდნენ სამეგობროს კავშირის, სოციალისტური ქვეყნებისა და მთელ რიგ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბავშვები. ბევრ სოციალისტურ ქვეყანაში იყო გამოცხადებული კონკურსები საუკეთესო თვითნაკეთობებზე, იყიდებოდა ნორჩების მიერ დამზადებული სუვენირები. აღებული ფული კი გროვდებოდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ჰანოიში, სამაგვრო მოსპიტალის აგებისათვის და ფესტივალის ჩატარებისათვის განკუთვნილ ფონდში. ბევრი ერთი ქვეყნის ახალგაზრდობის დემოკრატიულ კავშირს უს ფული დაუმარხა აგრეთვე ფესტივალზე თავიანთი დელეგატების გაგზავნაში. ამით ბავშვები გამშვარეან „ინ პრაჭტიკულ დანმარებას ეუნეინ უფროს მეგობრებს.

ბევრ ქვეყანაში — ბავშვებს ეკითხებიდნენ ფესტივალების ისტორიას, კითხულობდნენ წიგნებს, მუშაობა საერთაშორისო მოძრაობის, დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. ამ ზაფხულს პიონერთა ბანაკებში მოეწყობა X ფესტივალისადმი მიძღვნილი კონკურსები, ვიქტორინები, კონცერტები, ზეიმები.

ბავშვები ფესტივალშიც მიიღებენ მონაწილეობას. ბერლინის ფესტივალს, მაგალითად, სპეციალური ბავშვი პროგრამაც აქვს. მოეწყობა კონკურსები, გაიხსნება სხვადასხვა ქვეყნის ბავშვთა ცხოვრების ამსახველი გამოფენები, გაიმართება შეხვედრები ფესტივალის დელეგატებთან და ბაბაკაი სტუმრებთან. ბევრი გერმანელი პიონერი მეგზურობას გაუწევს უცხოელ უფროს მეგობრებს — დაათვალიერებინებს მათ ქალაქის ღირსშესანიშნაგ ადგილებს. პიონერები მონაწილეობას მიიღებენ პარადშიც...

X ფესტივალი მთელს მსოფლიოს ცხადად დანაშაგებს პროგრესული დემოკრატიული ახალგაზრდობის საბრძოლო ერთიანობასა და ძალას. ეს კი, თავის მხრივ, უფრო მოგვიახლოებებს იმ სანუკვარ დღეს, როცა დედამიწის ყველა კუთხეში მოზარდთაობას ექნება ბედნიერი ბავშვობა, ექნება სწავლის საშუალება, რათა გოგო-ბიჭები გაიზარდონ განათლებულ ადამიანებად, თავიანთი ქვეყნის ნათელი მომავლისათვის შეუერაელ მებრძოლებად.

19.178
ეროვნული ბიბ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

ალუჩა

გიორგი კაკუაშვილი

მხატვარი

დიმიტრი ზარაფიშვილი

ვანო და სულხანი ერთ უბანში ცხოვრობდნენ. ერთ კლასში სწავლობდნენ. სკოლაში ყოველთვის ერთად მიდიოდნენ, თუ მოხდებოდა და რომელიმე დააგვიანებდა, მეორე უეჭველად გასძახებდა:

— ვანო გამოვიარო?

ან:

— სულხან, გამოიარე!

„სა-ნა-დი-როდ წა-სუ-ლიყვნენ ა-მი-რან და ძმა-ნი მის-ნი!“.. — ღიღინებს სულხანი და ორღობის ბოლოში ვანოს ელოდება.

— გაკვეთილები მოამზადე?

— ისე რა...

— მაინც?

— სამიანზე, ოთხიანზე...

— არა თქვა, ხუთიანზეო!

— ეგეც შეიძლება, თუ, რაც მე ვიცი, იმას შემეკითხებიან.

ორივენი იცინიან.

სკოლაში ისე ვერ მივლენ, ლიზა ბაბოს სახლს რომ არ აუარონ.

— გამარჯობა, ლიზა ბაბო! — გადაიძახებენ ვარაუდით.

ღობე და ჭიშკარი ძალიან მაღალია და ეზოში ვერ გადაიხედავ. თუ შინ არის ან ეზოში ტრიალებს ლიზა ბაბო, უეჭველად გამოეხმაურებათ, თუ არა და უხალისოდ აივლიან ბიჭები.

სად წავიდოდაო?

ხუთი შვილი ჰყავს ლიზა ბაბოს: ორი ვაჟი და სამი ქალი. აქედან სამი — ექიმია, ერთი — მასწავლებელი და ერთიც — აგრონომი. როცა დაზამთრდება, ხან ერთ შვილთან არის, ხან — მეორესთან. მესამესა და მეოთხესთანაც არის. მეხუთესთან ხომ არის და არის. სამაგიეროდ, ზაფხულში თითქმის ყველანი შინ მოიყრიან ხოლმე თავსა და აქვთ ერთი მხიარულება.

— იი, თქვენა ხართ, ძაღლის ფეხის მკვნეტელებო?! როცა შინ არის, გამოეხმაურებათ ლიზა ბაბო.

— გვიცანი, ე?

— წყალქვემოდანვე გ ა ვ ი გ ო ნ ე თქვენი ყატიყუტი.

— როდის ჩამოხვედი? — ეკითხება სულხანი.

სულხანი ლიზა ბაბოს მაზლის შვილიშვილია, ბაბოს იმიტომ ეძახის. ვანოს, მართალია, სულაც არ ენათესავება, მაგრამ სულხანი და ვანო რას გაუყვია!

— მე სულაც აქა ვარ. — თავის თავს ატყუებს ლიზა ბაბო, მძიმე ჭიშკარს გამოაღებს და წეღანდელ ნათქვამ გამარჯობაზე ახლაღა უპასუხებს: — გაიზარდენით!

— როგორა ბრძანდები?!

— ძალიანაც კარგადა ვარ. თქვენ რასა იქთ?.. დედაშენს ხომ არა უჭირს რა? მამაშენს ცხვირი დაუცხრა, იმ დღეს რომ ფუტკრებმა დაკბინეს?

იმ დღეს კი არა, შარშან თუ შარშანწინ დაკბინეს, მაგრამ ლიზა ბაბო ყოველთვის ასე კითხულობს. ამაზე სამივენი იცინიან, სულხანი კი მეათასედ უსწორებს:

— იმ დღეს კი არა, შარშანწინ იყო.

— სულ ერთია... ალუჩა ხომ არ მოგენატრათ?

— არც გაგვხსენებია... აემ ჭიშკარს ბალღები ქვას ესროდნენ და შავი დღე გავუთენეთ...

— აბა, თქვენ იცით, — იღიმის ლიზა ბაბო. — უეჭველად შემომიარეთ, რამე მაქვს სათქმელი.

ბიჭებს სული ეწანწლებათ ალუჩისთვის. ალუჩა, მართალია, სხვებსაც უდგათ, მაგრამ ლიზა ბაბოსთანა ალუჩა მთელ სოფელში არ ეგულებათ. თუმცა კენწრის ტოტები ცოტა უკვე გამხმარი აქვს, მაგრამ ისევ ზურტავს ხოლმე, ურემზე არ დაედება. არც ჭია უჩნდება და გემრიელი წვენიც აქვს.

გაკვეთილები რომ დამთავრდება, ბიჭები ჭიშკარს მიადგებიან:

— შინა ხარ?!

— მოიცადეთ, ახლავე გავაღებ! — გამოეხმაურებათ ლიზა ბაბო და ჭიშკარს ააჭრიალებს.

ბიჭები მაშინვე ალუჩის გრილოში შედიან. ალუჩა ჯერ მკვახეა, მაგრამ როცა მკვახეა, მაშინ უფრო გემრიელია. იმისი მოტკბო-მომჟავო წვენი წინასწარ კბილებში უღიტინებს ბიჭებს და ნერწყვს ადენინებს. ამას ლიზა ბაბოც კარგადა ხედავს და ჯერ საჭმელსა სთავაზობს:

— ისადილეთ, შვილო, მშვენიერი წვნიანი მაქვს.

— არ გვინდა, ალუჩაც გვეყოფა. — ამბობს სულხანი და მაღალ ტოტს ეტანება.

— არ ჩამოგიტყდეს. დაბლაც ხომ ბევრი ასხია.

— არ ჩამოვტეხავ, ნუ გეშინია.

ერთი მხრიდან სულხანი, მეორე მხრიდან ვანო უტევს ტოტებს და ჯიბეებს იტენიან.

— კარგი, შვილო, ხვალაც ხომ ამ თვისაა.

— დღევანდელი ქათამი მირჩევნია ხვალინდელ კვერცხსაო. — იძახის სულხანი და სამივენი გულიანად იცინიან.

ჯიბეებს რომ აივსებენ, მერე ჭამას იწყებენ. კურკას ხან ყლაპავენ, ხან კი ბალჩაში ისვრიან.

— კარგი, შვილო, კბილები მოგეჭრებათ და პურს ვეღარ შეჭამთ.

— მამალი კბილები მაქვს, ბაბო. — ქილიკობს სულხანი და ისევ გულიანად იცინიან.

— უი, მამალმა მგელმა შეგჭამოს, კარგი ენა შენა გაქვს!

— წავედით! — ამბობს ბოლოს სულხანი.

— მოიცათ, შვილო, საჭმელი არ გინდათ? საგანგებოდ თქვენთვის გავაკეთე.

— არ გვინდა, ალუჩაზე გადავივლით. — გაიხსენა სულხანმა ლიზა ბაბოს სიტყვები: ომის დროს პური რომ ,ალარა გვქონდა, ალუჩაზე გადავივლიდით ხოლმეო.

ლიზა ბაბოს მართალი ჰგონია სულხანის სიტყვები და წუწუნით მიჰყვება ჭიშკრისაკენ მიმავალ ბიჭებს:

— ალუჩაზე როგორ შეიძლება, ბიჭო, ხომ გული გადაგელიათ?!

— ნუ გეშინია, ბაბო, შინ ვისადილებთ. — ამშვიდებს ვანო და ორი

ჯიბე ალუჩა ამაყად გამოაქვს ეზოდან...

მერე შინ ბრუნდებიან, სადილობენ, გაკვეთილებსა სწავლობენ და ტოლებში გადიან სათამაშოდ. სხვათა შორის, იმასაცა ტრაბახობენ, დღეს იმდენი ალუჩა ვჭამეთ, კბილები მოგვეჭრაო. რატომ ჩვენ არ წამოგვიღეთო? ორ-ორი ჯიბე მოგვქონდა, მაგრამ ვინც კი წინ დაგვხვდა, თითო ცალი ყველას მივეცით და გამოგვეულაპაო. ხვალ წამოგვიღებთო? უეჭველადო. მერე ბურთაობენ, ლახტაობენ...

მეორე დღესაც ისევ:

— „სა-ნა-დი-როდ წა-სუ-ლიყვნენ ა-მი--რან და ძმა-ნი მის-ნიი...“

ისევ:

— გამარჯობა, ბაბო!

— ღმერთმა გაგამრავლოთ!.. დღეს ჩემი ინგა უნდა ჩამოვიდეს.

— მაშ უეჭველად ჩამოგივლით.

ინგა ლიზა ბაბოს შვილიშვილია. თბილისში სწავლობს. ცოტა ბიჭებზე უმცროსია, მაგრამ ბიჭებს ისეთი ხათრი აქვთ, შუაღამისას ტყეში რომ გაგზავნოს, უარს არ ეტყვიან. თუმცა ყოველთვის კამათობენ. სადავოს კი ძალიან ადვილად პოულობენ.

— ინგა არ ჩამოვიდა, ბაბო?! — შეახსენებენ ბიჭები ჩამოვლისას.

— არა, შვილო, დაუბარებია, სალამოს ავტობუზს გამოვყვებიო. — ავტობუსს ავტობუზს ეძახის ლიზა ბაბო. იმიტომაო, რომ ავტოც არისო და ბუზივითაც დაფრინავსო. — ალუჩა ხომ არ მოგენატრათ? საღამოზე ამოდით და რამდენიც გინდათ დაკრიფეთ.

— იქამდე მოთმენა არ გვინდა?

— კბილები მოგეჭრებათ და პურს ვეღარ ჩაიდებთ.

— აკი ვთქვი, მამალი კბილები მაქვს-მეთქი, — იცინის სულხანი.

ლიზა ბაბო ჭიშკარში ადგილს ათავისუფლებს. ბიჭები მარჯვედ მიძვრებიან შიგნით და ცოტა ხანში ალუჩით იტენიან ჯიბეებს.

— გეყოფათ, ხვალაც ამ თვისაა.

— ბიჭებს შევპირდით და ცოდონი არიან, თითო-თითო თუ მაინც არ ჩავუტანეთ.

მერე შინ ბრუნდებიან. სადილობენ, გაკვეთილებსა სწავლობენ, მაგრამ სათამაშოდ აღარ გადიან. დღეს ხომ ინგა უნდა ჩამოვიდეს?! ლიზა ბაბოს შეჰპირდნენ, უეჭველად ამოვალთო. ეგეც არ იყოს, ძალიან მოენატრათ ინგა. მოვა და ქალაქის ამბებს მოიტანს. ესენიც ათას სათქმელს დაახვედრებენ.

სულხანი და ვანო ავტობუსს უცდიან, მაგრამ ბოლოს ვეღარ ითმენენ და ერთმანეთს თვალით ანიშნებენ, არ წავიდეთო?

ინგა უკვე ალუჩის ქვეშა ზის და თვალების წკურვით შეექცევა ნაყოფს.

— გეყოფა, გოგო, კბილი მოგეჭრება და პურს ვეღარ შეჭამ.

— პური რად მინდა, ალუჩაზე კარგი ქვეყანაზე არაფერი გაჩენილა.

ბიჭები ხელს ართმევენ, იღიმიან. ინგაც თვალებს აჟუჟუნებს და იღიმის, მერე ათას ამბავს უყვებიან ერთმანეთს. ბიჭები რაღაცებს ატყუებენ, მაგრამ არც ინგა ჩამორჩება: თურმე თბილისის ზოოპარკიდან ნიანგი გაქცეულა და მტკვარში გასულა. ახლა მტკვარი უნდა დაწრიტონ, რომ როგორმე დაიჭირონო.

ბიჭებს თან უხარიათ — ამოდენა ტყუილი თქვაო — თან ყასიდად ეკამათებიან:

— გადაკეტა გამიგონია, მაგრამ დაწრეტა შეუძლებელია. სათავიდანვე ხომ ვერ გაწყვეტენ?.

— რას იზამ, ასეა და...

— ფსკერზე რამდენი თევზი დარჩება!..

— თევზიც დარჩება და ზარბაზნებიც.

— ზარბაზნებს იქ რა უნდა?! — გაიკვირვეს ბიჭებმა.

— რაც მეფეს ზარბაზნები ჰქონია, სულ იქ გადაუყრიათ რევოლუციონერებს...

— ზარბაზნები არა, მაგრამ ლანჩებამძვრალი ფეხსაცმელი კი დარჩება და დარჩება.

— რაც მტკვრის ფსკერზე სიმდიდრეა, ერთ ქვეყანას შეინახავს.

— შლამი და კონსერვის ყუთები, არა?

— მტკვრისა არ ვიცი და, რაც ოკეანეებში სიმდიდრეა, სამას წელიწადს ეყოფა მთელ მსოფლიოს.

— ეგ სად წაიკითხე?

— ფრანგულ ჟურნალში.

— სამასს კი არა, სამი ათას წელიწადს. ერთ ნულში მოტყუებულხარ.

— არც შენა ხარ მართალი, რომ ამბობ — სამი ათას წელიწადს...

— არა, არა, ახლა გამახსენდა, სამ მილიონ წელიწადს. აი, სიმართლე თუ გინდათ.

მერე მოზარდმაყურებელთა თეატრის დადგმებზე, საუბრობენ, მერე — ჩვენს ფეხბურთელებზე, მერე — კინომსახიობებზე, მერე — კოსმოსში გაფრენაზე და, ბოლოს, ისევ ალუჩას მიუბრუნდებიან.

მეორე დღეს კვირაა. ინგას შუადღის ავტობუსზე აცილებენ და ბიჭები ისევ ძველებურად იწყებენ ცხოვრებას.

ერთხელ,როცა ჩვეულებრივ სკოლისკენ აიარეს ბიჭებმა და გამარჯობა შესძახეს, არავინ გამოეხმაურათ. იფიქრეს, ალბათ ოთახშიაო და ის იყო, წასვლას აპირებდნენ, რომ მეზობელი სახლიდან პატარა ბიჭმა გამოიხედა:

— ლიზა ბაბო წუხელ კლდეში ჩავარდა.

— ჰაჰ!— შესძახეს გამწარებით.

— კლდეში ჩავარდა და ქალაქში წაიყვანეს.

ბიჭები გაშრნენ...

— კლდესთან რა უნდოდა, ბიჭო? — ჰკითხა სულხანმა.

— ძროხის მოსაყვანად წასულა. სიბნელეში გზა ვერ დაუნახავს და გადავარდნილა.

— ძალიან დაშავებულა?

— არ ვიცი. დედაჩემმა თქვა, დამტვრეულიაო. ჩვენ ახლო არ მიგვიშვეს.

დაღონებულები გაბრუნდნენ. კლასშიც დაღონებულები ისხდნენ. მასწავლებელი შეეკითხათ, რა მოხდაო. არაფერიო..

— მე ვიცი მასწავლებელო! მაგათი ლიზა ბაბო კლდეში ჩავარდა და ედარდებათ — ალუჩას ვინღა გვაჭმევსო. — წამოაყრანტალა ყველაზე მეტიჩარა ბიჭმა.

ბიჭებს ბრაზისაგან სუნთქვა შეეკრათ. საჩხუბრად გამზადებული ძაღლებივით გაჰხედეს და ინატრეს — ნეტავი ამ წუთში გარეთ იყოს ეს საძაგელიო... მასწავლებელმა მეტიჩარა დატუქსა და ბიჭები დააწყნარა...

მეორე დღეს ამბავი მოუვიდათ: ლიზა ბაბო ძალიან დაშავებულია და რუსეთში მის შვილთან დეპეშა გავგზავნეთო... მერე ისიც გაიგეს: რუსეთიდან სასწრაფოდ ჩამოფრინდა ვაჟი და ყველანი თავზე ადგანანო.

ლიზა ბაბოანთ ჭიშკართან და ღობეებზე შემოდგომის ყვითელი ფოთლები დაეფინა... თოვლიც მოვიდა და სახლის სახურავები ჩამოათეთრა... მერე დნობა დაიწყო თოვლმა. მერე ორთქლი აუვიდა მიწას... მერე ხეებს კვირტი დაეტყო. ხეხილი აყვავდა და ბაღებს სიმწვანე გადაეფინა.

ალუჩამაც დაიყვავილა, მაგრამ ბიჭები რომ სკოლისაკენ აივლიდნენ, პირს არიდებდნენ — ასე ეგონათ, ალუჩა იყო დამნაშავე.

შეიფოთლა ხეები. მუხამ ორი მტკაველი ყლორტი გამოიღო. ალუჩა დამსხვილდა, თითქმის თხილისოდენებიც კი გახდა, მაგრამ ბიჭები მარტო იმას კი არა, ბაღჩასაც თვალს არიდებდნენ. სძულდათ ის სახლიც, საიდანაც პატარა ბიჭმა ლიზა ბაბოს კლდეში ჩავარდნა აუწყათ...

ახლაც მდუმარედ მიდიოდნენ ლიზა ბაბოს სახლთან და ჭიშკრისკენ გახედვასაც არ აპირებდნენ, რომ მოულოდნელად ნაცნობი ხმა შემოესმათ:

— ასე ჩუმად რომ მიიპარებით, ალუჩა აღარ გინდათ, ბიჭო?!

ბიჭებმა ელდანაცემებივით მიიხედეს და ჭიშკარში ყავარჯნებზე დაყრდნობილი ლიზა ბაბო დაინახეს. ერთმანეთს შეჰხედეს, თითქოს თვალს არ დაუჯერესო, მაგრამ რაკი დარწმუნდნენ, რომ ეს ყველაფერი ცხადი იყო, ჭიშკარში შეცვივდნენ:

— შენ გენაცვალე, ლიზა ბაბო!

— როდის ჩამოხვედი?!

ლიზა ბაბო ბიჭებს მიეფერა, აკოცა — მომენატრეთო; მათი მშობლებიც მოიკითხა, ალუჩაზეც მიიპატიჟა.

— ალუჩა არ გვინდა ჯიუტად თქვა სულხანმა.

— რატომ, შვილო, შენ ხომ მამალი კბილები გაქვს?!

— სკოლაში დაგვაჯობებდა, მოიმიზეზა ვანომ.

— კარგი. სკოლიდან როცა გამოხვალთ, მაშინ ისიამოვნეთ.

და მერე ისევ ყოველ დილით:

— გამარჯობა, ლიზა ბაბო!

— გაიზარდენით, შვილო!.. დიდი კაცები გამოხვიდოდეთ!..

ბიჭებმა სკოლა დაამთავრეს. მერე სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელშიც მოეწყვნენ. მაგრამ როგორც კი ერთმანეთს შეხვდებიან, მაშინვე ლიზა ბაბოსა და მისი ალუჩის ხეს იგონებენ. და რა გგონიათ, როგორ იქნება ლიზა ბაბო? თითქმის ას წელს მიაღწია, მაინც მხნედ არის. მართალია, იმ ალუჩას უკვე ტოტები გაექუცა, მაგრამ თითო-ოროლას კიდევ იბამს და დასანახავად ესეცა ჰყოფნით. როგორც კი ერთად მოხვდებიან, მაშინვე სკოლის გზაზე აივლიან და შეეხმიანებიან:

— გამარჯობათ, ლიზა ბაბო!

— რაო, ალუჩა ხომ არ გინდათ?! — მაშინვე გამოიცნობს მათ ხმასა და მოხუცის კვალობაზე თვალები აუციმციმდება.

ბიჭებს უხარიათ — ისევ პატარები ჰგონიათ თავი.

— ღმერთმა გაგიმარჯოთ, შვილო! ისე გაგამრავლოთ, როგორც ადამი და ევა! — დაიწყებს ლოცვა-კურთხევას ლიზა ბაბო. — ორი ჩემი ხნისა მოიყაროთ და ტკივილი არ იცოდეთ, რა იყოს... მკლავ-მუხლი არ დაგღლოდეთ და წელში არ მოხრილიყავით!

— ხომ არაფერს უჩივით?

— არა, შვილო, ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა, რაც ქვეყანაზე პროფესორებია, სულ თავზე დამახვიეს... თქვენ იყავით კარგად და გაიხარეთ, თორემ მე თუნდაც რამე მომივიდეს, ამით არაფერი დაშავდება. ჩემი ხნისა ქვაც აღარა გორავს...

— ნუ გეშინიათ, მეცნიერებმა სიბერის საწინააღმდეგო ხერხებს მიაგნეს და ათას წლამდე გაცოცხლებენ.

— ალუჩა რომ ხმება და ვერაფერს ვშველი?

— სხვა დავრგოთ.

— სხვა? — იღიმის ლიზა ბაბო, — განა ერთი და ორი გავახარე! ზოგი უკვე ისხამს კიდეც. თქვენ ოღონდ ალუჩობისას ამოიარეთ...

ჯვიანი შვილიშვილი

ანდრეი
პლატონოვი

ზღაპარი

მხატვარი
დ. ერისთავი.

იყო ერთი მოხუცებული ცოლქმარი. ჰყავდათ შვილიშვილი დუნია.

გოგონა ისეთი ლამაზი არ იყო, ზღაპრებში რომ არის ხოლმე, ჭკუაგონებით კი კაცს მართლაც გააკვირვებდა: სიბეჯითეს ხომ ნუღარ იკითხავთ, ყოველნაირი საქმე ეხალისებოდა.

ერთხელ პაპამ და ბებიამ დიდ სოფელში ბაზრობაზე დააპირეს წასვლა, მაგრამ არ იცოდნენ, რა ექნათ, სახლ-კარი ვისთვის დაეტოვებინათ. წუხდნენ, წვნიანს ვინ მოამზადებს, ან ფაფას ვინ ჭოხარშავს, ძროხას წყალს ვინ დაალევინებს და მოწველის, ქათმებს საკენკს ვინ დაუყრის და საღამოთი ქანდარაზე ვინ შესხამსო?

— ვინა და მე! — უთხრა დუნიამ პაპასა და ბებიას. — წვნიანსაც მოვამზადებ და ფაფასაც მოვხარშავ: როცა ნახირი ჩამოივლის, ძროხას ეზოში შემოვიყვან და დავაბინავებ: ქათმებსაც მივხედავ, ჭოხსაც დავალაგებ და, სანამ კარგი დარია, თივასაც გავამზეურებო.

— რა დროს შენი მუშაობაა, შვილო, — უთხრა ბებიამ დუნიას. — ჯერ პატარა ხარ, შვიდი წლისა ახლახან შესრულდიო.

— შვიდი ორი ხომ არ არის, ბებია, შვიდი წელი ბევრია, — უპასუხა დუნიამ. — სახლ-კარს მივხედავ, ნუ გეშინიათ!

პაპა და ბებია ბაზარში წავიდნენ და საღამოთი უკანვე დაბრუნდნენ. ხედავენ, შინ მართლაც ყველაფერი რიგზეა. ქოხი დალაგებულია, საჭმელი გამზადებული, ეზო დასუფთავებული. საქონელი და ფრინველი მაძღარია, თივა გამზეურებული, ღობე შეკეთებული (პაპა ორი წელიწადია შეკეთებას უპირებდა): ჭის ირგვლივ ქვიშაა დაყრილი. იმდენი რამეა გაკეთებული, თითქოს იმ ეზოყურეში ერთი გოგო კი არა, ოთხი კაცი ტრიალებდა.

უყურებენ ბერიკაცი და დედაბერი თავიანთ შვილიშვილს და ფიქრობენ: საწუხარი აღარაფერი გვაქვს, ახლა უნდა ვიცოცხლოთ და ვიხაროთო.

მაგრამ ბებიამ შვილიშვილით დიდხანს ვერ გაიხარა: საბრალო დედაბერი ავად გახდა და მოკვდა. დარჩნენ პაპა და შვილიშვილი მარტონი. უჭირდა ბერიკაცს სიბერეში მარტოხელობა. უჭირდათ ორივეს უბებიოდ ყოფნა. დუნია სულ იმას ცდილობდა, პაპისათვის რაიმე ეამებინა, ხელს არაფერზე გაანძრევინებდა, ყველაფერს თავად აკეთებდა. პატარა კი იყო, მაგრამ მუყაითობა არ აკლდა.

ერთ დღეს ბერიკაცი ქალაქში წავიდა — რაღაც საქმე გამოუჩნდა. გზაზე მდიდარ მეზობელს წამოეწია: ისიც ქალაქისკენ მიდიოდა. გასწიეს ერთად. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შემოაღამდათ. მდიდარმა მეზობელმა და დუნიას ღარიბმა პაპამ გზის პირას ქოხი დაინახეს. ქოხის ფანჯრიდან შუქი გამოდიოდა. კარზე დააკაკუნეს და მასპინძელს სთხოვეს, ღამე გაგვათევინეო. ცხენები ფორნებიდან გამოუშვეს და დასაძინებლად დაწვნენ. დუნიას პაპას ჭაკი ცხენი ჰყავდა, მდიდარ მეზობელს კი იაბო.

ღამით დუნიას პაპის ცხენმა კვიცი მოიგო. სულელი კვიცი დედას მოსცილდა და მდიდარი მეზობლის ფორნის ქვეშ მოკალათდა.

მდიდარმა გლეხმა დილაადრიანად გაიღვიძა და თავისი ფორნის ქვეშ შემძვრალი კვიცი რომ დაინახა, დუნიას პაპას უთხრა:

— მეზობელო, ერთი შეხედე. ჩემს იაბოს წუხელ კვიცი მოუგიაო!

— ეგ როგორ იქნება! — თქვა დუნიას პაპამ, — როგორც ქვაზე ფეტალი ვერ გაიხარებს, ისე იაბო კვიცს ვერ მოიგებს! ეგ კვიცი ჩემმა ჭაკმა ცხენმა მოიგო.

მდიდარი მეზობელი კი არ უთმობდა:

— არა, კვიცი ჩემია! — გაიძახოდა თავისას. — შენს ჭაკ ცხენს რომ მოეგო, შვილი გვერდით ეყოლებოდა, მაგრამ, ხომ ხედავ, კვიცი ჩემი ფორნის ქვეშ არისო!

ედავებიან ერთმანეთს, დავას ბოლო არ უჩანს: ღარიბი სიმართლეს ეძებს, მდიდარი კი — სარფას; არც ერთი უთმობს, არც მეორე.

ჩავიდნენ ქალაქში. მაშინ იმ ქალაქში მეფე ცხოვრობდა. მეფე მთელ სამეფოში ყველაზე მდიდარი იყო, თავი ყველაზე ჭკვიან კაცად მიაჩნდა და თავის ქვეშევრდომთა განსჯა-გასამართლება უყვარდა.

მდიდარი მეზობელი და ღარიბი პაპა მეფე-მსაჯულს ეახლნენ. დუნიას პაპამ მეფეს შესჩივლა:

— მდიდარი მეზობელი კვიცს მართმევს, ამბობს, ჩემმა იაბომ მოიგოო.

მეფე-მსაჯულს კი სიმართლის ძიება არ უყვარდა, როგორც მოეპრიანებოდა, ისე განსჯიდა, მაგრამ ჯერ თავის გართობა მოინება.

მომჩივნებს უთხრა:

— ოთხ გამოცანას გეტყვით და, ვინც გამოიცნობს, კვიციც იმას დარჩება. „რა არის ამქვეყნად ყველაზე სწრაფი და ყველაზე ძლიერი?“ „რა არის ყველაზე მსუქანი?“ „რა არის ყველაზე რბილი?“ და „რა არის ყველაზე საამური?“

სამი დღის ვადა მისცა, მეოთხე დღეს პასუხი უნდა მომახსენოთო.

სანამ მომჩივნებს სამართალს გაუჩენდა, მეფემ ბრძანა: მდიდარი გლეხის იაბო და ბერიკაცის ცხენი თავის კვიციანად და ფორნიანად სასახლის ეზოში დარჩეს; ვიდრე არ განვსჯი, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, ღარიბმაც და მდიდარმაც ფეხით იარონო.

მდიდარმა მეზობელმა და ღარიბმა პაპამ შინისაკენ გასწიეს.

მდიდარი ფიქრობს: „ვითომ რა ისეთი ძნელი რამ დაგვავალა მეფემ, ამ გამოცანების გამოცნობას რა უნდაო!“

ღარიბს კი გული დარდით ევსება: არ იცის, როგორ გამოიცნოს.

დუნია პაპას ქოხიდან გამოეგება და ჰკითხა:

— პაპილო, რა დაგემართა, რამ დაგაღარდიანა? ბებიაზე ნაღვლობ? მე ხომ შენთანა ვარ, ნუ იდარდებო.

პაპამ შვილიშვილს უამბო, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს გადახდა და ატირდა, კვიცი არ ემეტებოდა.

მერე დუნიას უთხრა:

— მეფემ გამოცანების გამოცნობა დამავალა, მე კი ვერ გამომიცვნია და არ ვიცი, რა გზას დავადგეო.

— მითხარი, პაპილო, რა გამოცანებია ასეთი? ჭკუაზე უფრო ჭკვიანური ხომ არ იქნებაო?

პაპამ მეფის ოთხივე გამოცანა ჩამოუთვალა. დუნიამ ცოტა ხანს იფიქრა და მერე უთხრა:

— მეფეს ასე მოახსენე: ამქვეყნად ყველაზე სწრაფი და ძლიერი ქარია; ყველაფერზე მსუქანი, ყველაფერზე უფრო მსუყე — დედამიწაა: ზედ რა არ იზრდება, რა სულიერი არ ცოცხლობს, მაგრამ ყველას და ყველაფერს ასაზრდოებს; ამქვეყნად ყველაზე უფრო რბილი საკუთარი ხელისგულია: კაცი რაზეც არ უნდა იწვეს, თავქვეშ მაინც ხელს ამოიდებს; სიზმარზე უფრო საამური კი ამ ქვეყნად არაფერია. ესეც იმისი გამოცანებიო!

სამი დღის შემდეგ ბერიკაცი და მისი მდიდარი მეზობელი მეფე-მსაჯულს ეახლნენ.

მდიდარმა გლეხმა მეფეს მოახსენა:

— ჩვენო ხელმწიფევ და მსაჯულო, შენი გამოცანები თუმცა ბრძნულია, მაგრამ მე ხელად გამოვიცანი. ამ ქვეყნად სწრაფი და ძლიერი შენი წაბლა ბედაურია, თავლაში რომ გიბია: მათრახი ერთხელ რომ შემოჰკრა, კურდღელს დაეწევა; ყველაზე მსუქანი შენი ჭრელი ქოსმენია: ისეა გასუქებული, ფეხზე ველარ დგება; ყველაზე უფრო რბილი შენი ბუმბულის ქვეშაგებია, მეფევ, რაზედაც იძინებ. ყველაზე საამური კი შენი შვილი ნიკიტუშკაა!

მეფე-მსაჯულმა მდიდარს მოუსმინა და მერე ღარიბ ბერიკაცს მიუბრუნდა:

— აბა, შენ რაღას იტყვი, გამოიცანი თუ ვერაო?

ბერიკაცმა უპასუხა, როგორც შვილიშვილმა დაარიგა. თან ეშინოდა, ვაითუ ჩემმა პასუხმა არ ივარგოს, მდიდარმა მეზობელმა ალბათ სწორად გამოიცნოო.

მეფე-მსაჯულმა მოუსმინა და მერე ჰკითხა:

— ეგ პასუხი თავად მოიფიქრე თუ ვინმემ დაგარიგაო?

ბერიკაცმა სიმართლე არ დაუმალა:

— მე რისი მომფიქრებელი ვარ, მეფე-მსაჯულო! შვილიშვილი მყავს ერთი, ისეთი მარჯვე და მოსაზრებულია, მეტი რომ აღარ შეიძლება. იმან დამარიგაო.

მეფემ ეს რომ გაიგონა, თავის შექცევა მოინდომა. საქმე მაინც არაფერი ჰქონდა და, აბა, რა უნდა ექნა!

— თუ ასეთი ჭკვიანი შვილიშვილი გყავს, — უთხრა ბერიკაცს, — და თან მარჯვეცაა, ეს ერთი მტკაველი აბრეშუმის ძაფი მიუტანე და უთხარ, ნაუშიანი პირსახოცი მომიქსოვოს; თანაც დილამდე უნდა მოამთავროს. გაიგონე თუ ვერაო?

— გავიგონე, გავიგონე! — უპასუხა ბერიკაცმა. — არც ისეთი გამოთაყვანებული ვარო.

აბრეშუმის ძაფი უბეში ჩაიდო და შინისკენ გასწია. მიდის და თან გული დარდით ევსება: ერთი მტკაველი ძაფისაგან პირსახოცის მოქსოვა სად გაგონილა — ამას დუნიაც ვერ შეძლებს... თანაც დილამდე უნდა მოამთავროს და ნაუშიანიც იყოსო.

დუნიამ მეფის დანაბარები რომ მოისმინა, პაპა ანუგეშა:

— პაპილო, ჯავრი ნურაფრისა გაქვს, ამ საქმესაც მოევლებაო!

აიღო ცოცხი, ერთი ღერო წაატეხა, პაპას მისცა და უთხრა:

— წადი მეფე-მსაჯულთან და მოახსენე; ისეთი ოსტატი მონახოს, ვინც ამ ღეროსაგან დაზგას გააკეთებს. მაშინ მეც პირსახოცს იმ დაზგაზე მოვუქსოვო.

ბერიკაცმა მეფისაკენ გასწია. მიდის და თან ახალ განსაცდელს ელის. ეშინია, მეფე ახლა ისეთ რამეს დაგვავალებს, რის შესასრულებლად დუნიას ჭკუაც არ იკმარებსო.

ბერიკაცის შიში გამართლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფემ ას ორმოცდაათი კვერცხი მისცა და უბრძანა, შენმა შვილიშვილმა ხვალ დილამდე ამ კვერცხებიდან ას ორმოცდაათი წიწილა გამოჩეკოსო.

ბერიკაცი შინ დაბრუნდა.

— ჯერ ერთი განსაცდელისაგან არ დაგვიღწევია თავი, — მოჰყვა წუწუნს, — და უკვე ახალი უბედურება გვეწვიაო.

უამბო შვილიშვილს, რაც მეფემ დაავალა.

დუნიამ ანუგეშა:

— ნუ გეშინია, პაპილო, ეგ რა უბედურებაა.

აიღო ის კვერცხები, შეწვა და პაპას ვახშმად მიართვა. მეორე დღეს კი უთხრა:

— პაპილო, წადი მეფესთან და სთხოვე, წიწილებისათვის საკენკად ერთ დღეში მოხნან მიწა, დაფარცხონ, ფეტვი დათესონ, მოამწიფონ, მომკან, გალეწონ, გაანიავონ და დაცეხვონ. მოახსენე, რომ წიწილები სხვანაირ საკენკს პირსაც არ აკარებენ და ამოწყდებიან, თუ ერთდღიან ფეტვს არ გამოგატანსო.

პაპა მეფესთან მივიდა. მეფე-მსაჯულმა დუნიას დანაბარები მოისმინა და ბერიკაცს უთხრა:

— ეშმაკი შვილიშვილი გყოლია, მაგრამ არც მე ვარ ნაკლები. წადი და ასე უთხარი: ხვალ დილით მეახლოს, ოღონდ — არც ფეხით და არც ცხენით, არც ჩაცმული და არც შიშველი, ნურც ძღვენს მომართმევს და ხელცარიელიც ნუ მოვაო.

წავიდა ბერიკაცი შინისაკენ. მიდის და თან ფიქრობს: „ასეთი ახირება გაგონილაო?“

დუნიამ მეფის ნაბრძანები რომ მოისმინა, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა, მაგრამ მერე გამხიარულდა და პაპას უთხრა:

— პაპილო, წადი ტყეში მონადირეებთან, ცოცხალი კურდღელი და ცოცხალი მწყერი მიყიდე... არა, შენ ნუ წახვალ, მოხუცი ხარ და ალბათ სიარულით დაიქანცე, ჯობია დაისვენო. მე თვითონ წავალ, პატარა ვარ, მონადირეები მწყერსა და კურდღელს უფასოდაც მომცემენ, სასყიდელი ფული არცა გვაქვსო.

დუნია ტყეში წავიდა და შინ ცოცხალი კურდღელი და მწყერი მოიყვანა. მეორე დილას ჰერანგი გაიხადა, სათევზაო ბადე ტანზე შემოიხვია, ხელში მწყერი დაიჭირა, კურდღელზე შეჯდა და მეფე-მსაჯულისკენ გაემართა.

კურდღელზე გადამჯდარი დუნიას დანახვაზე მეფე გაოცდა და შეშინდა:

— ეს საფრთხობელა აქ საიდან გაჩნდა? ასეთი მაჯლაჯუნა არასოდეს მინახავსო.

დუნიამ კი მეფეს თავი დაუკრა და მოახსენა:

— მეფევ, რაც მიბრძანე, მოგიძღვენი. აჰა, გამომართვიო.

თქვა ეს და მწყერი გაუწოდა. მეფე-მსაჯულს გამორთმევა უნდოდა, მაგრამ მწყერმა შეიფრთხიალა და გაფრინდა.

მეფემ დუნიას ახედ-დახედა და უთხრა:

— ყველაფერი სწორად შეგისრულებია — როგორც გიბრძანე, ისე მეახელო. მერე ჰკითხა:

— შენ და პაპაშენი თავს რითი ირჩენდითო?

დუნიამ უპასუხა:

— პაპაჩემი თევზს ხმელეთზე იჭერს, ბადეს წყალში არ ისვრის. მე კი თევზი შინ კალთით მომაქვს და მუჭაში ვხარშავო.

მეფე-მსაჯული განრისხდა:

— რას ამბობ, შე სულელო! ხმელეთზე თევზს რა უნდა? ან მუჭაში თევზის მოხარშვა სად გაგონილაო?

მაგრამ დუნია არ შეეპუა:

— შენ ხომ ჭკვიანი ხარ? ის სადღა გაგონილა, რომ იაბოს კვიცი მოეგოს? შენს სამეფოში კი კვიცს იაბოც იგებსო!

მეფე-მსაჯული შეცბუნდა:

— როგორ უნდა შემეტყო, კვიცი ვისი იყო? იქნებ სხვისი კვიცი შეეკედლათო?

ახლა კი დუნიას გული მოუვიდა:

— როგორ უნდა შეგეტყო? მაგას ხომ სულელიც მიხვდებოდა, შენ კი მეფე ხარ! პაპაჩემმა თავისი ცხენი ერთ მხარეს წაიყვანოს, მდიდარი მეზობელი კი თავისი იაბოთი მეორე მხარეს წავიდეს. კვიცი იქითკენ გაიქცევა, საითაც დედამისი იქნებაო.

მეფე-მსაჯულმა გაიკვირვა:

— მართალია, ხომ იცი! ამას როგორ ვერ მივხვდი და სამართლიანად ვერ განვსაჯეო?

— სამართლიანად განსჯა რომ შეგეძლოს, მაშინ მდიდარი კი არ იქნებოდიო, — უთხრა დუნიამ.

— უჰ, შე ავყიავ! — გაბრაზდა მეფე, — ახლა რომ ასეთი ხარ, როცა გაიზრდები, მაშინ რაღა იქნებიო?

— ჯერ განსაჯე, კვიცი ვისია, და მერე გეტყვი, რა ვიქნები, როცა გავიზრდებიო!

მეფე-მსაჯულმა სასამართლო შემდეგი კვირისათვის დანიშნა. დუნიას პაპა და მისი მდიდარი მეზობელი დანიშნულ დღეს სასახლის ეზოში მოვიდნენ. მეფემ მათი ცხენები ფორნებში შეაბმევინა და გარეთ გამოაყვანინა. დუნიას პაპა თავის ფორანში ჩაჯდა, მდიდარი მეზობელი — თავის ფორანში და სხვადასხვა მხარეს გაემართნენ. მეფემ კვიცი ფაცალიდან გამოაშვებინა. კვიცი მაშინვე თავის დედას — დუნიას პაპის ცხენს გაეკიდა. მთელი სასამართლოც ეგ იყო. კვიცი ბერიკაცს დარჩა.

მეფე-მსაჯულმა დუნიას ჰკითხა:

— აბა, ახლა მითხარი, ვინ იქნები, როცა გაიზრდებიო?

— მსაჯული ვიქნებიო.

მეფემ გაიცინა:

— მსაჯული ხომ მე ვარ, შენ ვილას მსაჯული იქნებიო?

— ვისი მსაჯული და, შენი! შენ გაგასამართლებო.

პაპამ ნახა, რომ საქმე კარგად ვერ იყო. იფიქრა, ვაითუ მეფე განრისხდესო, შვილიშვილს ხელი სტაცა, ფორანში ჩასვა და ცხენი გააჭენა. კვიციც გვერდზე მისდევდა.

მეფემ ფორანს ავი ძაღლი დაადევნა, რომ პაპა და შვილიშვილი დაეგლეჯინებინა. დუნიას პაპა თუმცა ბებერი იყო, სიმარჯვე არ აკლდა და შვილიშვილს არავის დააჩაგვრინებდა. ძაღლი ფორანს დაეწია და ის იყო ზედ უნდა შემხტარიყო, მაგრამ პაპამ მათრახი გადაჰკრა, მერე კეტს წამოავლო ხელი, ფორანში რომ ეგდო, და თავში ჩასცხო. ძაღლი ყირამალა გადაკოტრიალდა.

პაპამ კი შვილიშვილს ხელი მოჰხვია და უთხრა:

— შენს თავს არავის დავანებებ: არც ძაღლს და არც მეფეს. გაიზარდე დიდი ქალი, იხარე და იბედნიერეო.

თარგმნა ბივი კიკილაშვილმა.

სიცრუე და სიმართლე

რასულ გამზათოვი

ნაწყვეტი მოთხრობისა — „ჩემი დაღესტანი“.

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

ერთხელ, ბავშვობაში, მამამ სასტიკად დამსაჯა. ნაცემი ადგილები დიდი ხანია მომიშუშდა, მაგრამ ცემის მიზეზი დღემდე არ დამვიწყებია.

დილით შინიდან გამოვედი და ვითომ სკოლის გზას დავადექი, მაგრამ როგორც კი თვალს მოვეფარე, გზიდან გადავუხვიე, აღმა ვიარე თუ დაღმა, ბოლოს სულ სხვაგან ამოვყავი თავი. იმ დღეს სკოლა თვალით არ მინახავს. საღამომდე ბიჭებთან ვკოჭაობდი. მამამ წიგნებისთვის ორიოდე გროში მომცა და იმ ფულს, იცოცხლეთ, გამოვუყვანე წირვა, პირწმინდად წავაგე და საგონებელში ჩავვარდი. ცოტა ფული კიდევ უნდა მეშოვნა. აზარტული თამაშის დროს როცა ჯიბეს გადმოიბრუნებ და უკანასკნელ გროშს აგებ, გგონია, ერთი შაური კიდევ რომ გაპოვნინა სადმე, წაგებულს სულ დაიბრუნებ და კიდევაც მოიგებ ცოტას. მეც ასე მეგონა: ცოტა ხურდა რომ მაშოვნინა, წაგებულს უეჭველად დავიბრუნებ-მეთქი. ბიჭებმა ფული არ მასესხეს, თამაშის წესია: წაგებულისათვის ფულის სესხება, მოგებულისათვის წაგებას მოასწავებს.

ბოლოს გამოსავალი მოვნახე. აუცილებლად ჩამოვიარე — ხვალ ფალავნები ჩამოდიან და მათთვის ფულის შეგროვება მე დამავალეს-მეთქი.

რას იშოვნის ეზო-ეზო მოწანწალე მშიერი ძაღლი? ორში ერთს: ან გამოხრულ ძვალს, ან — ჯოხს. მეც ასე დამემართა — ზოგი მაძლევდა ფულს, ზოგი — არა. ეტყობოდა, იმასაც მამაჩემის ხათრით იმეტებდნენ, აული ფეხდაფეხ მოვიარე, ფული გადავთვალე და ისევ სათამაშოდ გავეშურე. მაგრამ არც ეს გროშები გამწვდა დიდხანს, თანაც, თამაშის დროს დაოთხილი ვხოხავდი მიწაზე. მთელი დღე ფორთხვისაგან მთლად დამეგლიჯა შარვალი და გადამეტყავა მუხლისთავები.

ამასობაში შინ მომიკითხეს. უფროსმა ძმებმა ჩემს საძებნელად აული ჩამოირბინეს. მეზობლები, ფალავნები ჩამოდიან-თქო, ფული რომ დავცანცლე, ახლა ზედიზედ აკითხავდნენ მამაჩემს — სად არიან შენი მოჭიდავეები. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ყურით მიმათრიეს შინ. მაშინღა მივხვდი, ჩემი თაღლითობა გამოაშკარავებულიყო.

და აჰა, წარვდექი მამაჩემის სამსჯავროს წინაშე. ქვეყნად ყველაზე მეტად ამ სამსჯავროსი მეშინოდა. მამამ თავიდან ფეხებამდე ამათვალჩამათვალიერა. შიშველი, შესიებული, დაწითლებული მუხლისთავები დაგლეჯილი შარვლის ტოტებიდან ჩამტვრეულ ფანჯარაში ჩაჩურთულ ბალიშებივით ამოშვერილიყო.

— რა არის ეს? — თითქოს მშვიდად მკითხა მამამ.

— მუხლებია, — ვუპასუხე, თან ვცდილობდი ხელისგულებით დამეფარა შიშველი სხეული.

— მუხლები რომაა, მეც ვხედავ, მაგრამ თავი რად გამოუყვიათ? მითხარი, სად დაიხიე შარვალი?

ისე დავიწყე შარვლის თვალიერება, თითქოს ახლა დამენახოს რა დღეშიც იყო. უცნაური ფსიქოლოგია აქვს ცრუსა და მხდალს: ატყობს, რომ უფროსებმა ყველაფერი იციან, სასაცილოა და უაზრო ჯიუტობა, მაგრამ მაინც, თავის დასაძვრენად ყოველ ღონეს ხმარობს, გულწრფელად არ პასუხობს და ვინ იცის რას არ მიედ-მოედება.

მამამ ხმას აუმაღლა. შინაურებმა ოჯახის უფროსის ხასიათი იცოდნენ და გამოსარჩლება სცადეს. მამამ ხელით შეაჩერა ყველა და ისევ მკითხა:

— აბა, მითხარ, როგორ დაგლიჯე შარვალი?

— სკოლაში გამეხა... ლურსმანს წამოვედე...

— რაო, რაო? გაიმეორე...

— ლურსმანს წამოვედე-მეთქი.

— სად?

— სკოლაში.

— როდის?

— დღეს.

მამამ გამომიშალა და ხელისგული მტკიცა ლოყაზე.

— ახლაც არ მეტყვი, სად დაგლიჯე შარვალი!

ვდუმდი. ადგა და ახლა მეორე ლოყაზე გამაწნა სილა.

— ახლაც არ მეტყვი!

ავტირდი.

— გაჩუმდი! — მიბრძანა მამამ და მათრახს წაეტანა. — თუ ახლავე არ მეტყვი სიმართლეს, მათრახით აგაჭრელებ.

ვიცოდი ამ მათრახის გემო, ქვასავით მარყუჟი ჰქონდა წვერზე. მათრახის შიშმა სიმართლის თქმის შიში დაძლია. ავდექი და წვრილად ჩავუკაკლე იმდღევანდელი ჩემი თავგადასავალი.

სასამართლო დამთავრდა. სამი დღე ჭკუაზე არ ვიყავი. ცხოვრება შინაც და სკოლაშიც თითქოს ჩვეულებრივ მიდიოდა, მაგრამ სულს ვერ ვიმშვიდებდი, ვიცოდი, მამასთან საუბარი მელოდა. მეტსაც გეტყვით, ახლა თვითონ მე მწყუროდა ეს საუბარი და ყველაზე უფრო ის მტანჯავდა, რომ მამა გაურბოდა ამ საუბარს.

მესამე დღეს დამიძახეს, მამა გიხმობსო. გვერდით მომისვა, თავზე ხელი გადამისვა, დამიყვავა, სკოლაში რას გადიხართო, რა ნიშნები გაქვსო. მერე მოულოდნელად მკითხა:

— თუ იცი, მაშინ რისთვის გცემე?

— ვიცი.

— მაინც რისთვის?

— ფულზე რომ ვითამაშე, იმისათვის.

— არა, მაგისთვის არა. ბავშვობაში ვის არ უთამაშნია ფულზე. მეც მითამაშნია და შენს უფროს ძმებსაც.

— შარვალი რომ დავხიე, იმისათვის.

— არა, არც შარვლისათვის მიცემიხარ, ვის არ დახევია ბავშვობაში შარვალი. შენ გოგო არა ხარ და ვერც ბილიკ-ბილიკ ივლი ყოველთვის.

— აბა მაშ, სკოლა რომ გავაცდინე, იმისათვის.

— ცხადია, ეს დიდი შეცდომაა, იქიდან დაიწყო ყველა შენი იმდღევანდელი უბედურება... ამისათვის, ისევე, როგორც შარვლის დახევისათვის და ფულზე თამაშისათვის, გაკიცხვა გეკუთვნის. ამისათვის დიდი-დიდი, ყურებს დაგასრესდი. ცემით კი, ჩემო ბიჭუნა, ტყუილისათვის გცემე. სიცრუე არც შეცდომაა და არც შემთხვევა. ეს ხასიათის ისეთი თვისებაა, რომელსაც ფესვის გადგმა შეუძლია, იგი შენს სულში ამოსული საშინელი სარეველაა, თუ დროზე არ გამარგლე, კიდით კიდემდე აავსებს მთელს მინდორს და კეთილი თესლის აღმოსაცენებელ ადგილს აღარ დატოვებს. ქვეყანაზე ტყუილზე უარესი არაფერია. მას ვერც გააძევებ, ვერც სცემ. თუ კიდევ იტყვი ტყუილს, იცოდე, მოგკლავ. ამიერიდან მხოლოდ სიმართლე უნდა ილაპარაკო, მრუდე ნალზე უნდა თქვა მრუდეა-თქო, დოქის მრუდე სახელურზე — მრუდე სახე-

ლურია-თქო. მრუდე ხეზე უნდა თქვა — მრუდე ხეა-თქო. გაიგე, რას გეუბნები?

— გავიგე.

— აბა, გასწი!

წავედი და გულში ფიცი დავდე, დღეის ამას იქით აღარასოდეს მეცრუა. ვიცოდი, მამაჩემს ვუყვარდი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ სიტყვის კაცი იყო, ნათქვამს არ გადაუხვევდა და ისევ თუ ვიცრუებდი, უეჭველად მომკლავდა.

დიდი ხნის შემდეგ ეს ამბავი ერთ ჩემს მეგობარს ვუამბე.

— რაო?! — წამოიძახა მან, — აქამდე არ დაგვიწყებია ეს პატარა, უბრალო ტყუილი?

მე ვუპასუხე:

— სიცრუე — სიცრუეა, სიმართლე — სიმართლე. არც ერთი იზომება სიდიდით და სიმცირით, არც — მეორე. არის სიკვდილი და არის სიცოცხლე. როცა სიკვდილი მოდის, სიცოცხლე გზას უთმობს. მათი ერთად ყოფნა შეუძლებელია. ერთი მეორეს გამორიცხავს. სიცრუე და სიმართლეც ასეა.

ბავშვობაში დიდი ვაჟკაცობა დამჭირდა, რათა ჭეშმარიტი სიტყვისათვის არ მეღალატნა. რამეთუ ჭეშმარიტი, მართალი სიტყვის ღალატი უდიდესი ტკივილის, სულიერი ტანჯვის თანაზიარია.

მამაცი ადამიანები რწმენას არ იცვლიან. მათ იციან, რომ დედამიწა ბრუნავს, იციან, რომ მზე კი არ ბრუნავს დედამიწის გარშემო, არამედ დედამიწა ბრუნავს მზის ირგვლივ, იციან, დღეს ღამე სცვლის, დილას — საღამო, დღეს — ისევ ღამე... ზამთარს — გაზაფხული, გაზაფხულს კი მცხუნვარე ზაფხული...

საბოლოოდ სინდისის მათრახი, ნამუსის მათრახი სპობს პირფერებსა და მატყუარებს.

და ვერასოდეს საბოლოოდ ვერ სძლევს სიცრუე სიმართლეს.

თარგმნა ზ. ლეშკაშელმა.

უჯარმა

პასუხი № 4-ში დასმულ კითხვებზე

ციხე-სიმაგრე უჯარმა მდებარეობს მდინარე ივრის შუაწელზე და გომბორის მთის კალთიდან ამაყად გადაჰყურებს მის ფერხთით გადაშლილ მიდამოს.

მემატიანეების ცნობით, უჯარმა ქართლის მეფეს ასფაგურს (ახ. წ. აღ. III საუკუნე) აუშენებია. როგორც ჩანს ციხე-ქალაქის დაარსებამდე ეს ყოფილა მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიურად დაწინაურებული, განვითარებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის კუთხე. იგი ძლიერ ფორპოსტს წარმოადგენდა, კეტავდა მთიდან ბარში გასასვლელს და კონტროლს უწევდა თბილისი-მცხეთისაკენ მიმავალ გზას. ყოველივე ამის გამო, გარკვეული პოლიტიკური პირობების ხელშეწყობით იგი შემდგომში გაქალაქებულა კიდეც.

უჯარმა ძლიერ დაწინაურებულა და განვითარებულა ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის პერიოდში (V ს.); გამჭრიახი და ენერგიული მეფე ვახტანგი საქართველოს აღმოსავლეთი პროვინციების შემომტკიცებისათვის იღვწოდა და ამ ვითარებაში, ცხადია, თავისი სტრატეგიული მდებარეობით უჯარმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს: „და თვით ვახტანგ დაჯდა უჯარმას, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა“-ო.

უჯარმის ციხე უნიკალური ნაგებობაა არა მარტო მისთვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული თავისებურების გამო, არამედ იმითაც, რომ მან თითქმის სრული სახით მოაღწია ჩვენამდე. გეგმაში ციხე რამდენადმე წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. აგებულია ფერდობზე და კვადრატული, მოყვანილობის კოშკებიანი გალავნით ივრის მარჯვენა ნაპირამდე ეშვება. აღნიშნულ კოშკებიდან ერთს, რომელიც მდინარის გაყოლებით აღმართული გალავნის შუაში იდგა, წყალთან ფარული მისასვლელი ჰქონდა.

ქედზე აგებული უჯარმის დედა-ციხე (ან შიდა ციხე) არაერთგზის აღუდგენიათ, რაზეც დღეს კედლებში დატანებული სათოფურებიც მიგვითითებს. აქვეა ძველი ეკლესია — „ჯვარ-პატიოსანი“, სადაც წმ. ნინოს სიცოცხლეში გაკეთებული „სასწაულმოქმედი“ ჯვარი ყოფილა აღმართული საკურთხეველის წინ. ეს ჯვარი მერე ახმეტაში გადაუტანიათ და, სამწუხაროდ, 1924 წელს გაუნადგურებიათ. არც ამ ეკლესიას მოუღწევია ჩვენამდე პირვანდელი სახით. მისთვის მოგვიანო ხანებში, IX-X საუკუნეებში დაუშენებიათ მეორე სართული, ისე რომ თავდაპირველი, V საუკუნის ფორმები მხოლოდ ამ ნაგებობის ქვედა, პირველ სართულს შემოუნახავს (ნალისებური მოხაზულობის კონქი, შესასვლელის თაღი, კამარა). აღსანიშნავია, რომ შემდგომ ამ ეკლესიის გავლენით დარქმევია მთლიანად ციხეს „ჯვარ-პატიოსანი“. ციხის ამავე უბნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეზეა ორსართულიანი დიდი შენობა, რომლის კედლებში გაჭრილია მაღალი თაღოვანი სარკმელები. აღნიშნული ნაგებობა, მეცნიერთა ვარაუდით, სასახლე უნდა ყოფილიყო სხვადასხვა დანიშნულების სათავსებით (სამეურნეო, საცხოვრებელი და სხვ.).

აღსანიშნავია ისიც, რომ კბილანებით დამთავრებული გალავნის კოშკები, ორ და სამსართულიანია, სართულშორისი გადახურვა ოთხი დიდი ზომის კოჭზე ყოფილა დამყარებული, რაზეც მიგვითითებს კედლებში ნაპოვნი საყრდენი ბუდეები.

უჯარმის ციხის კომპლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქვის დამუშავების სიფაქიზე. თვალში საცემია სწორკუთხა მოსაპირკეთებელი კვადრების დამუშავების ზედმიწევნითი ხასიათი, ფართო და მაღალი, ნალის ფორმის შესასვლელები და სარკმელები, ღია აივნიანი, ხშირი რიგით ჩაყოლებული დიდი ზომის, გვერდებაკეცილი, ბრტყელი კრამიტით გადახურული კოშკები, კედლის წყობაში დუღაბის გამოყენება და მშენებლობის საერთო მასშტაბურობა. ყველაფერი ეს, ცხადია, მაღალი ხუროთმოძღვრული კულტურის მაუწყებელია. ზემოაღნიშნულს უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მერმინდელ აღდგენა-გადაკეთებათა მიუხედავად, ძეგლი მაინც წარმოადგენს თავისი გეგმარებით ურთიერთთან ორგანულად დაკავშირებულ ანსამბლს. აქ ყველაფერი მთლიანობაშია



ICOMOS თუ არა ეველს ეკოჯალიუკ ეხაკეს?

*

გავშვებო, დააკვირდით ამ სურათს და მოგვწერეთ: სად მდებარეობს ეს ძეგლი, რა ისტორიულ მოვლენებთან არის დაკავშირებული და საერთოდ რა იცით მის შესახებ.

*

გააზრებული, ამიტომ ციხის რომელიმე ნაწილის ვახტანგ გორგასალამდელ ხანაში აგების მოსაზრებას ვერ ეთანხმება. მართლაც, არაა გამორიცხული, რომ „ქართლის ცხოვრების" ცნობით, ასფაგურ მეფის მიერ აგებული (III საუკ.) უჯარმა მაინცდამაინც ციხე-ქალაქ უჯარმის ტერიტორიაზე ვეძებოთ. ფიქრობენ, იგი დღევანდელ სოფელ უჯარმის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, რაზეც აქ არსებული დიდი ბორცვი უნდა მიგვითითებდეს, რომელიც, შესაძლოა, ძველ ნამოსახლარ „გორას" წარმოადგენს. ვახტანგ გორგასალის ციხე-ქალაქ უჯარმის გაძლიერება-დაწინაურებისა და საკუთარ რეზიდენციად გადაქცევის შემდეგ კი ძველი უჯარმა დაკნინებულა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უჯარმა ივრის ხეობის ერთ-ერთი ძველი, ეკონომიურად დაწინაურებული პუნქტია, ხოლო გვიან ანტიკურ ხანაში ქალაქად ქცეული. საქართველოში ქრისტიანობის ქადაგების პირველსავე საუკუნეში უჯარმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მასთან არის დაკავშირებული წმ. ნინოს მოღვაწეობა და მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები, ხოლო მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრება" უჯარმას მცხეთის გვერდით იხსენიებს: „მაშინ შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმა, და ყოველი ქართლი, მიცვალებასა ნინოსასა". V საუკუნეში ვახტანგი აშენებს ციხე-ქალაქ უჯარმას „ნაშენებითა უზომოთაო", ვკითხულობთ მატიანეში. სწორედ ჩვენამდე მოღწეული ძეგლი ვახტანგის დროისა უნდა იყოს, და იგი არსებითად სტრატეგიული დანიშნულებით იყო შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ აქ ცხოვრება კარგა ხანს გაგრძელებულა, უჯარმას თანდათან დაუკარგავს ის მნიშვნელობა, რომელიც ადრე ფეოდალურ ხანაში გააჩნდა. ამაზე მიუთითებს სამშენებლო ფენები, რომლებიც საკმაოდ ცხადად გამოირჩევა ციხის ამა თუ იმ ნაწილის წყობაზე, ეს დასტურდება აგრეთვე IX-X საუკუნეებსა თუ XII-XIII საუკუნეებში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების კვალით, ხოლო შემდგომ პერიოდში — გვიან შუა საუკუნეებში აგურით ნაშენი კედლებით და აქ 1950-1952 წლებში ჩატარებული, არასრული არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალებით.

ირაკლი ჯანდიერი.

კუნძულ კომოდოს საოცარი ვარანები

ინდონეზია განლაგებულია მალაის არქიპელაგის სამი ათასზე მეტ კუნძულზე, რომელთაგანაც ზოგი მჭიდროდაა დასახლებული, ზოგი უკაცრიელია. კომოდო ერთ-ერთი ამ კუნძულთაგანია. მისი სიგრძე 45 კილომეტრია, სიგანე — 10-13 კილომეტრი. იგი დაფარულია ბორცვებით, რომლებზედაც მაგარი ჯიშის ხეები იზრდება, ხშირია გაუვალი ჯუნგლები და ბამბუკის ტყეები. სანაპიროსთან მცხოვრები მოსახლეობა თევზჭერას მისდევს.

კუნძული რამდენიმე ათეული წლის წინათ მეზღვაურებმა აღმოაჩინეს. თურმე აქ, სხვა ცხოველებსა და ფრინველებთან ერთად, ცხოვრობდნენ უზარმაზარი ქვეწარმავლები — ვარანები, რომელთა სახეობაც მსოფლიოს არც ერთ სხვა კუთხეში არ მოიპოვება. მაგრამ ამის შესახებ დიდხანს არაფერი იცოდნენ მეცნიერებმა.

1912 წელს კუნძულზე ჩამოვარდნილი თვითმფრინავიდან გადარჩა მფრინავი, რომელმაც პირველმა ნახა ეს საოცარი გოლიათი ქვეწარმავლები. მან დაბრუნებისთანავე ეს ამბავი აცნობა მეცნიერ-ნატურალისტებს და ამით დასაბამი მიეცა სათანადო გამოკვლევებს.

1927 წელს დუგლას ბერდენის ხელმძღვანელობით კომოდოზე ჩამოვიდა ამერიკელთა ექსპედიცია, რომელმაც მხოლოდ ვარანების გამოთვლა შესძლო, მათი ცხოვრება კი შეუსწავლელი დარჩა.

1953 წელს ინდონეზიის მთავრობის თაოსნობით კომოდოზე ჩატარდა მეორე ექსპედიცია, ჰოლანდიელი მეცნიერის — პუგერვერფის მეთაურობით. მაგრამ კითხვა, თუ საიდან გაჩნდნენ კუნძულზე ეს გიგანტი ვარანები, უპასუხოდ დარჩა.

სამი წლის შემდეგ კუნძულს ეწვია სწავლულთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა ფრანგი ზოოლოგი პრეფერი. მათი აზრით, ეს ურჩხულები ერთმანეთის განადგურებით დაადგნენ გადაშენების გზას.

ამის შემდეგ ინდონეზიის მეცნიერთა საბჭომ გადაწყვიტა კიდევ ერთი ექსპედიცია მოეწყო. ამჯერად ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა მეცნიერები, რომლებმაც საფუძვლიანად შეისწავლეს ეს ცხოველები და მათი ცხოვრება.

აი, რას წერს საბჭოთა ზოოლოგი ევგენი მალეევი: „მზის ჩასვლამდე საათნახევარი რჩებოდა, როცა ჩვენ — შვიდი საბჭოთა და ინდონეზიელი მეცნიერი მუშაკი — ინდონეზიის პატარა კუნძულ კომოდოს უკაცრიელ ნაპირზე გადავსხედით. იქვე, სილიან სანაპიროზე, მაშინვე დავინახეთ არაჩვეულებრივი კვალი — თითქოს ვიღაცას მსხვილი ხის მორი ეთრია.

კვალს მივყევით და მალე ტროპიკული მცენარეების კედლის წინ აღმოვჩნდით — გავლა შეუძლებელი იყო, დაბრუნებაც არ გვინდოდა. ამ დროს ოცდაათიოდე მეტრის მოშორებით გაისმა შრიალი: მწვანე ბარდნარიდან ნაპირზე ფრთხილად გამოვიდა ტახი, მას აედევნა უზარმაზარი მუქი ხვლიკი. მოძრაობდა მოკლე, მსხვილი ფეხებით და ცდილობდა ტახს დასწეოდა.

ხვლიკს დიდი, ვიწრო თვალები ველურად უბრწყინავდნენ, ოთხმეტრიანი ქერცლიანი სხეული ეძაბებოდა და ეგრიხებოდა. ფოტოაპარატებს ვეცით — ჩვენ წინ ის ცხოველი იყო, რომლისთვისაც გამოვცურეთ და გადმოვიფრინეთ ათასობით კილომეტრი კუნძულ კომოდომდე! მაგრამ ბედმა გვიმტყუნა: ხვლიკმა და ტახმა დაგვინახეს და გაუჩინარდნენ ბარდნარში“...

ექსპედიციამ ხაფანგებით დაიჭირა 20 ხვლიკი. ეს არცთუ ისე ძნელი საქმე იყო, რადგან ისინი არ არიან მშიშრები და დიდ ცნობისმოყვარეობასაც იჩენენ ყველაფრისადმი. კუნძულზე ცხოვრობს ირემი, კამეჩი, გარეული ღორი, რომელთაც ხიმღვნებით შეექცევიან ვარანები. ისინი უჩუმრად ეპარებიან მსხვერპლს და კუდის ძლიერი დარტყმით არეტიანებენ. მერე ფოლადისებურ ყბებში მოიგდებენ და ვეება ლუკმებად ყლაპავენ. ერთ-ერთი ხვლიკის კუჭში დიდი ტახის მთელი თავიც კი აღმოჩნდა.

ვარანები არ მტრობენ ადამიანს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, თავდაცვის მიზნით თუ დაესხმიან თავს.

საბჭოთა მეცნიერებმა გააბათილეს პრეფერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხვლიკები ერთმანეთს ანადგურებენ. მათ სავსებით ჰყოფნით კუნძულის ბინადარი ირემი და ღორი...

ვარანების შეუღლების თვე ივლისია. ერთი თვის შემდეგ ახალგაზრდა დედალი ვარანი დებს 5-6 კვერცხს. ზღლოვანების მატებასთან ერთად თანდათან იზრდება კვერცხების რაოდენობა. პატარები აპრილის დასაწყისში იჩეკებიან. ვარანები ცოცხლობენ 40 წლამდე. მათი წონა 100 კილოგრამს აღწევს, სიგრძე კი — 3-4 მეტრს.

მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ეს ცხოველები 40 მილიონი წლის წინათ წარმოიშვნენ. ავსტრალიაში ამჟამადაც პოულობენ მათ ჩონჩხებს, ამიტომ ვარაუდობენ, რომ ავსტრალია ოდესღაც დაკავშირებული იყო ზონდის არქიპელაგთან.

მკურნალი ფოფიკი

გაზაფხულზე მთის საძოვარზე მომიხდა ყოფნა და შევნიშნე, რომ გაშლილ საქონელს შოშიის გუნდი დასტრიალებდა თავს. ეს მომთაბარე ფრინველი სხვა დროს შირაქის საძოვრებზეც მინახავს, მაგრამ იქ ისი-

ნი საქონელს ახლოსაც არ ეკარებოდნენ. აქ კი პირდაპირ ზედ ასხდებოდნენ — ზოგი თავზე, ზოგი ზურგზე. ვიფიქრე, იქნებ ბუდისათვის ნაზამთრალ ბეწვს აცლიან-მეთქი. რამდენიმე შოშია თოფით მოვკალი, გავქვეთე და მათ კუჭ-ნაწლავში ვიპოვე უამრავი მატლი და ჭუპრი.

საქონლის საშიში მტერი ბორა ბუზის მაგვარი მწერია. მას კანის ბორასაც უწოდებენ. იგი მხოლოდ რამდენიმე დღე ცოცხლობს რქოსანი პირუტყვის ბალანში, მაგრამ ხუთასზე მეტი კვერცხის დადებას ასწ-



რებს. ერთი კვერცხიდან იჩეკება თითქმის თვალით უჩინარი მატლი, რომელიც კანში იჭრება და ცხრა-ათი თვის განმავლობაში სხვადასხვა სტადიებს გადის. გაზაფხულზე კი მომწიფდება და კანიდან ამოდის. მიწაზე მოხვდება თუ არა, მაშინვე ჭუპრად გადაიქცევა, ჭუპრიდან კი სულ მალე ბორა ამოფრინდება ხოლმე. მაგრამ შოშიები თურმე მას ჭუპრად გადაქცევის საშუალებას არ აძლევენ და ცხოველის კანიდან ამოსვლისთანავე მიირთმევენ

ბორას მატლები კანიდან ერთდროულად არ გამოდიან, მათი მიწაზე ჩამოცვენა აპრილიდან იწყება და ივნისამდე გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ეს ფრინველები თავს დასტრიალებენ პირუტყვს და მარჯვედ ნადირობენ მწერებზე.

ბორას მატლები ჩვეულებრივ ცხოველის ზურგის არეში ჩნდებიან. დაბუდების ადგილი იბურცება, ჩნდება ინფილტრატი და პატარა ხვრელი, საიდანაც ჩირქი გამოდის. ხვრელი შემდეგ თითის სიმსხო ხდება, რაც ტყავს აზიანებს და უვარგისად ხდის.

ბორა საქონლის წველადობასაც ამცირებს, პირუტყვი ხდება და შეიძლება კიდეც დაიღუპოს. ამ მწერის წინააღმდეგ მთელი რიგი ღონისძიებანი ხორციელდება, მაგრამ, თურმე, შოშიებიც კარგი მკურნალები ყოფილან.

ამიტომ ყველამ ხელი უნდა შეუწყოს ამ ფრინველის გამრავლებას.

ალ. არაბული.

საფეხბურთელო თამაშები ნორჩ ფეხბურთელთათვის

ბავშვებო, თქვენ თითქმის ყველას გიყვართ ფეხბურთი, ბევრი თქვენგანი კი ეზოს, ეუჩისა თუ უბნის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდის წევრიცაა. გთავაზობთ რამდენიმე საწვრთნელ თამაშს, რომლებიც ხელს შეუწყობს თქვენს დოსტატებას ფეხბურთის თამაშში.

ბაალე სარქველი. რაიმე მყარ საყრდენზე მაგრად დაამაგრეთ რგოლი. რგოლის ზედა ნაწილს მარყუჟით მიამაგრეთ საკმაოდ მძიმე სარქველი. იგი შეაძლება ხისაგან ან ლითონისაგან გაკეთოთ, ოღონდ ბურთის მოხვედრის დროს არ უნდა გატყდეს და არც გაიღუნოს.

მოთამაშე დგება რგოლის პირისპირ და ცდილობს ბურთი სარქველს მოახვედროს. თუ დარტყმა ზუსტი და ძლიერია, სარქველი გაიღება და ბურთი რგოლში გავარდება.

სარქველის მოხვედრისათვის ერთი ქულა იწერება, ხოლო თუ ბურთი რგოლში გავარდა — ორი ქულა.

მეკარეთა შეჯიბრი. საჯარიმო მოედნის ხაზიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით დაახზეთ კვადრატი, რომლის გვერდის სიგრძე 10-12 ნაბიჯი უნდა იყოს. იქვე მონიშნეთ მეორე კვადრატი — პირველი კვადრატის ნახევარი ფართობისა.

ორი ან მეტი მეკარე ეჯიბრება ერთმანეთს იმაში, რომელი უფრო ზუსტად ისვრის ბურთს კვადრატებში — ხელით და ფეხით. თუ, გარდა სიზუსტისა, ნასროლის ძალის გამომუშავებაც არის საჭირო, პირველი კვადრატების უკან დახაზეთ ორი ისეთივე კვადრატი. მახლობელი დიდ კვადრატში ჩურთის მოხვედრისათვის იწერება 1 ქულა, პა-



ტარა კვადრატში მოხვედრისათვის — 2 ქულა, შორეულ დიდ კვადრატში მოხვედრისათვის — 3 ქულა, პატარა კვადრატში მოხვედრისათვის — 5 ქულა.

პარტნიორის ჩაყოლებით. საჯარიმო მოედნის ხაზთან დგას ერთი მოთამაშე. მისგან მარცხნივ და მარჯვნივ, ოდნავ უკან, კიდევ ორი ფეხბურთელია განლაგებული. მარცხნივ მდგომი საჯარიმო მოედანზე ბურთს აწ-



ვდის მოთამაშის, იგი მას თავით გზავნის მარჯვენა მეზობელთან. ეს უკანასკნელი კი შეუჩერებლად ურტყამს კარში.

კედლიდან. ფეხბურთის მოედანზე დადგით ხის კედელი. მოთამაშე მისკენ პირშექცეული დგება, ხოლო პარტნიორი ან მწვრთნელი მის ზურგს უკან ბურთს კედლის სხვადასხვა წერტილში ურტყამს.



მოთამაშემ უნდა მოასწროს კედლიდან უკუქცეული ბურთის მოგერიება ნებისმიერი საშუალებით.

ოარი ბურთი. მეკარისათვის განკუთვნილ ამ ვარჯიშში ორი ბურთი გამოიყენება. მას შემდეგ, როცა მეკარე მოიგერიებს ან დაიჭერს ერთ-ერთი მოთამაშის მიერ დარტყმულ ბურთს, უმალვე მეორე ფეხბურთელი ურტყამს კარში, თანაც — სხვა კუთხეში.



ქსოვა

გაკვეთილი მეხუთე

უსახელოებო კულავერი 10-12 წლის გოგონათვის

200 გრ მერინოსის ძაფი, ჩხირები № 2,5; პულავერის სიგრძე 50 სმ, გულმკერდის სიგანე — 70 სმ.

ქსოვის სახეები

I — რეზინი 1×1-ზე;

II — წინდისებური ქსოვა.

ზურგი: აკრიფეთ 101 თვალი. მოქსოვეთ 2 სმ რეზინი 1×1-ზე; შემდეგ ქსოვა განაგრძეთ წინდისებური ნაუშით. თან ერთ რიგზე თანაბრად დაუმატეთ 10 თვალი, მოქსოვეთ 33 სმ იღლიის ხაზამდე, შემდეგ გადახურეთ იღლია ორივე მხრიდან (ე. ი. მარჯვენა და მარცხენა) თანმიმდევრობით, ჯერ 4, 3, 2 თვალი და 2-ჯერ თითო თვალი. იღლიის გამოყვანის შემდეგ 15 სმ მოქსოვეთ სწორად. დარჩენილი თვლები გაყავით 3-ზე (ვთქვათ, დაგრჩათ 90 თვალი, 90:3 = 30. ორი 30 თვალი მხრების თვლებია, ერთი 30 კი — კისრისა), მხრების თვლებს გადახურავთ ხუთჯერ ექვს თვალს. კისრის თვლებს კი აკინძავთ ძაფზე.

წინა გული. აიღეთ 103 თვალი. მოქსოვეთ 2 სმ რეზინი 1×1-ზე, განაგრძეთ ქსოვა წინდისებური ნაუშით და ერთ რიგში თანაბრად დაუმატეთ 12 თვალი. მოქსოვეთ 33 სმ იღლიის ხაზამდე და ისევე, როგორც ზურგის მხრიდან, აქაც ორივე მხრიდან გადახურეთ 6, 5, 3, 2 თვალი და 1 თვალი; ერთი რიგის შემდეგ დანიშნეთ შუა თვალი და დაიწყეთ გამოყვანა წინა გულის ხაზისა, ე. ი. პულავერის წვეტის. ჯერ გამოიყვანეთ წინა გულის მარჯვენა ნაწილი, რაც ასე ხდება: შუა თვალის დანიშვნის შემდეგ იქვე აიღებთ ორ თვალს ერთად და ყოველი 4 რიგის შემდეგ 10-ჯერ მოაკლებთ თითო თვალს გულის მხარეს. მხარს გამოიყვანთ ისე, როგორც ზურგის მხარეს. წინა გულის მეორე ნახევარი იქსოვება ისე, როგორც პირველი ნახევარი. შემდეგ ნაქქოვი გაუთოეთ, გაკერეთ მხრები. აასხით 62 თვალი წინა გულის მარცხენა მხრიდან, შემდეგ 62 თვალი — მარჯვენა მხრიდან, შეუერთეთ ეს თვლები ზურგის თვლებს და მოქსოვეთ ერთად 2 სმ რეზინი 1×1-ზე. წინა გულის წვეტიანი კუთხე გააფორმეთ ორმაგი კლების საშუალებით. კლება ხდება წინა გულის შუა



თვალთან. იღლიის გარშემო აასხით 82 თვალი და 2 სმ რეზინით მოქსოვეთ. ორივე იღლიის ქსოვას რომ დაამთავრებთ, თვლები დაამაგრეთ, გაკერეთ გვერდები და ნაქსოვი დააუთოეთ (იხ. ნახ. 3).

ჯაჭოსნაირი

დელფინები იცავენ კლაჭს

ცნობილია, რომ დელფინები ადამიანს მეგობრულად ექცევიან, ზვიგენები კი, პირიქით — მათთვის ადამიანი მხოლოდ მომავალ საკბილოს წარმოადგენს.

ისიც ცნობილია, რომ დელფინებს საშინლად სძულთ ზღვის მტაცებლები. სწორედ ამ გარემოებამ უკარნახა ფლორიდელ (აშშ) ზოოლოგებს ის აზრი, რომ ხელი მოეკიდათ დელფინის წვრთნისათვის. მათ დელფინებს ასწავლეს, თავს დაესხან ზვიგენებს აკვალანგისტის ბრძანებისთანავე. შედეგები ბრწყინვალე აღმოჩნდა. დელფინები თავიანთ ახალ მოვალეობას დიდი სიამოვნებით ასრულებდნენ. ისინი არამარტო ერეკებოდნენ საშიშ მტაცებლებს, არამედ კიდეც ხოცავდნენ.

ქათმის კვერცხი — გოლო ადგილზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული კვების პრობლემების კომისიის მონაცემებით, ჩვენს პლანეტაზე დღეში 2,1 მილიარდი კვერცხი იხარჯება. საოცარი ის არის, რომ ამ რიცხვში ყველაზე ნაკლები წილი ქათმის კვერცხზე მოდის. პირველი ადგილი უკავია კუს კვერცხს, შემდეგ — სხვადასხვა ქვეწარმავალთა კვერცხებს.

ჭიაყელების ფერმა

რა სახის პროფესია არ არსებობს დედამიწის ზურგზე! აი, მაგალითად, ერთი ინგლისელი ფერმერი მხოლოდ და მხოლოდ ჭიაყელების მოშენებით არის გართული. ჭიაყელას მისგან მეთევზეები ყიდულობენ. /შარშან მან თავისი ქვეყნის ბაზარზე და, საზღვარგარეთ 75 მილიონი ჭიაყელა გაყიდა.

სიმბოლური სასაფლაო

ნიუ-იორკის ზოოპარკში არსებობს სიმბოლური სასაფლაო იმ გარეული ცხოველებისა, რომლებიც ამ უკანასკნელი 370 წლის მანძილზე ამოწყდნენ. „საფლავის ქვებზე", ცხოველის სახელწოდებასთან ერთად, წარწერილია: „გადაშენდა". ზოოპარკის დირექციას ამით ის სურს, რომ დამთვალიერებლებს მოაგონოს, თუ რა საფრთხე ემუქრება ზოგიერთი ნადირის არსებობას.

იადონების კონკურსი

იადონებსაც აქვთ თავიანთი „ოლიმპიური თამაშები". რამდენიმე შესარჩევი შეჯიბრების შემდეგ სინგაპურში რამდენიმე ათასი მწვრთნელი — იადონის პატრონი იყრის თავს. ფინალამდე ცოტანი, დიდი-დიდი, ასი ყველაზე საუკეთესო მგალობელი იადონი თუ მიაღწევს. ამ შეჯიბრებებს სინგაპურში მუსიკალურ კონკურსებს უწოდებენ. უზადო სმენითა და უსაზღვრო მოთმინების უნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუნიორია

გაკვეთილი მეხუთე

ნამცხვარი ფხვიერი ცომისაგან

მასალა

4 სუფრის კოვზი კარაქი, 4 კვერცხი მთლიანად, 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, ნახევარი ჩაის კოვზი სოდა ძმრით, ცოტაოდენი ვანილი, 3 ჩაის ჭიქა (თლილი) ფქვილი.

მომზადება

კარაქი გათქვიფეთ გათეთრებამდე, გააკეთეთ გოგლი-მოგლი და მიუმატეთ გათქვეფილ კარაქს. დაუმატეთ ვანილი და სოდა ძმრით, მოზილეთ ნაზი ცომი, გააბრტყელეთ, დაჭერით სასურველ ფორმაზე და გამოსაცხობად შედგით გაზქურის გაცხელებულ ღუმელში.

დაჭრილ ნამცხვარს წაუსვით ათქვეფილი კვერცხის ცილა. გამოცხობის შემდეგ მოაყარეთ შაქრის პუდრი.

ნაყოფით დახუნძლულ ხეს, ტოტები რომ არ დაემტვრეს, საყრდენად სარებსა და ხარდნებს შეუყენებენ ხოლმე. ეს საჭიროა, მაგრამ ჯერ ერთი ამდენი საყრდენის შოვნა ჭირს, მეორეც ხეს კანი უზიანდება. ამიტომ უპრიანია თუ მსხმოიარე ტოტებს ერთმანეთზე გადაბამთ. ეს მოთუთიავებული მავთულით უნდა



გაკეთდეს. ოღონდ, ტოტს მავთულის შემოხვევამდე აუცილებლად რეზინის საფენი გაუკეთე. ამისათვის კარგი იქნება თუ ავტოსაბურავის გადანაჭერს გამოიყენებ. (დახედე სურათს).

ავტოსაბურავის გადაჭრა არც ისე იოლია, მაგრამ თუ შიგ ხის ღერძს გაუყრი, გალესილი დანის მეტი აღარაფერი დაგჭირდება.



რეზინის რგოლის გასახვრეტად რკინის მილის გამოყენება შეიძლება.



თუ ჩანთის საკეტს ენა აღარ გაუფუჭდა, ნუ მოაჭრიან და გადააგდებ, ადექი და



ზამბარის ნაცვლად ფოროვანი რეზინის ნაჭერი დაუტანე და კიდევ დიდხანს გემსახურება.



ფუნჯი თუ გაცვდა ან ჭაგარი გაძვრა, მოძებნე ფოროვანი რეზინი, ამოჭერი კბილანები, ტარში მჭიდროდ ჩაამაგრე და ფუნჯი ახალივით იქნება.

რით დაჯილდოებული ოთხი მსაჯი ყოველ წელს აკუთვნებს კონკურსის ლაურეატის ტიტულს ამა თუ იმ გამარჯვებულ მგალობელს.

ტელეფონების მუზეუმი

პოლონეთში, რადომეს სატელეფონო აპარატების ფაბრიკაში შექმნილია ტელეფონების მუზეუმი. აქ თავმოყრილია ძველად ხმარებული აპარატები. მუზეუმის ექსპონატებს შორის ყველაზე ძველი ტელეფონი თითქმის 100 წლისაა. იგი იმ სატელეფონო აპარატის „კბილაა", რომლითაც მისი გამომგონებელი — გ. ბელი 1878 წელს მსოფლიოში პირველად ელაპარაკა 8 კილომეტრის დაშორებით მყოფ კაცს.

ველოსიპედისტები უფრო დიდხანს ცოცხლობენ

ჰოლანდიელმა ექიმებმა გამოიკვლიეს თანაბარ პირობებში მცხოვრები მოსახლეობის სამი ჯგუფი: ველოსიპედისტები, ქვეითად მოსიარულენი და შოფრები. ისინი ერთსა და იმავე დროს მიდიოდნენ სამუშაოდ, ბაზარში, სასეირნოდ, მაგრამ გადაადგილებისათვის სხვადასხვა საშუალებას იყენებდნენ — ველოსიპედისტი ველოსიპედით მიქროდა, ქვეითად მოსიარულე, ცხადია, ფეხით დადიოდა, შოფერი მანქანის საჭეს უჯდა. გამოირკვა, რომ ველოსიპედისტები ხუთნახევარი წლით, ხოლო ქვეითად მოსიარულენი სამნახევარი წლით უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე შოფრები.

ლომი და ხელოვნური კბილები?..

მილანის ცირკის მაყურებელთა საუვარელი ლომი ჯუმბო თავის მეგობარს წაეჩხუბა და... ორივე ქვედა ეშვი დაკარგა. ამ ამბავმა ცირკის დირექცია დიდად შეაწუხა — ჯუმბო არ ეთმობოდა. კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ მან მიიღო ექიმის წინადადება: ლომს ხელოვნური ეშვები ჩავუსვათო. ჯუმბო დააძინეს და ექიმმა წარმატებით ჩაატარა ოპერაცია.

თეორეტიკოსის ბედი

„დაზღვეულია თუ არა შენი სახლი მძარცველთა შემოჭრისაგან?" — ასეთი სახელწოდების წიგნი გამოსცა აშშ-ში ვინმე მისტერ რობერტ ბარნესმა. წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი ათასნაირი ხერხი, რომელსაც იყენებენ ბინის გამძარცველები, აგრეთვე ამ უკანასკნელთა საწინააღმდეგო საშუალებანი. წიგნმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და ავტორი უკვე ამზადებდა მეორე, მნიშვნელოვნად შევსებულ გამოცემას. მაგრამ ერთმა უსიამოვნო ამბავმა შეაჩერა საქმე: ბარნესი დაპატიმრებულ იქნა ბინის გაძარცვის დროს. ამაოდ ამტკიცებდა იგი: ამას იმიტომ ვაკეთებდი, რამდენიმე ჩემი თეორიული მოსაზრება პრაქტიკულად მინდოდა შემემოწმებინაო. მას ორნახევარი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები

●

— არ მესმის, რატომ უნდა ვისწავლო ინგლისური ენა.
— ნახევარი მსოფლიო ხომ ინგლისურად ლაპარაკობს!
— ნუთუ ეგ ცოტაა?

●

— მამა, რატომ ხარ ვეგეტარიანელი?
— ცხოველების სიყვარულის გამო.
— მაშ საკვებს რატომ უჭამ?

●

ერთ ზარმაცს ჰკითხეს.
— დამჯდარი რატომ აპობ შეშას?
— მაშ რა ვქნა, დაწოლილმა ვერ მოვახერხე.

●

— შვილო, ძალიან მტკივნეული იყო კბილის ამოღება?
— არა, მამიკო. რომ ყვიროდა, ის ექიმი იყო: თითზე ვუკბინე.

●

მასწავლებელი: ოტო, რა შეგიძლია მითხრა ატომის გახლეჩაზე?
ოტო: არაფერი, ბატონო მასწავლებელო, ალბათ სხვა კლასელები იყვნენ, — მიუგო აჭარხლებულმა ოტომ.

●

— კოდალა რად აკაკუნებს ხეზე? — ჰკითხა პეტერმა უფროს მეგობარს.
— ჭიებს ეძებს.
— მერე ჭიები კარს უღებენ?

●

— ჩემო კარგო, დედიკოს და მამიკოს თუ გაუგონებ, სამოთხეში მოხვდები, თუ არა და — ჯოჯოხეთში. — უთხრა მამამ ბავშვს.
— იმისათვის რა უნდა გავაკეთო, რომ კინოში მოვხვდე? — ჰკითხა ბიჭუნამ.

●

ჰანსს უნდოდა კარლისათვის აეხსნა რა არის ქურდი, და უთხრა:
— მე რომ ჯიბიდან ფული ამოგაცალო, რა ვიქნები?
— ჯადოქარი, — მიუგო კარლმა.

●

— რა არის ქარი? — ჰკითხა ირუგენმა უფროს ძმას.
— ჰაერი, რომელსაც ეჩქარება.

●

— შენ ამ ბოლო ხანს გაცილებით უკეთ სწავლობ, ხომ არავინ გეხმარება გაკვეთილების მომზადებაში? — ჰკითხა მასწავლებელმა რენატეს.
— არავინაც არ მეხმარება, ოღონდ უკვე სამი კვირაა, რაც ტელევიზორი გაგვიფუჭდა.

გერმანულიდან თარგმნა
ზ. ამირანაშვილმა.

სარჩევი

სახვაძე ეთერი — „ერთგული ხელი — ვიეტნამელ მეგობრებს" (ნარკვევი) . . . 1
ბიგილური თამაზი — მაიაკოვსკი — პოეტი-ტრიბუნი. (წერილი) . . . 2
ვ. მაიაკოვსკი — ლექსი საბჭოთა პასპორტზე (თარგმნა ბ. პატარიძემ) . . . 5
ბუთხუზი გივი — ძმობილები (მოთხრობა) . . . 6
ხერგიანი მირონ — გვირისტებს გადევნებული ოცნებანი (წერილი) . . . 13
ბეძიშვილი თედო — სიმღერა. ლოდები. (ახალი ლექსები) . . . 15
ახალი წიგნები . . . 15
სიჭაბუკის დიდ ზეიმზე . . . 17
პაკუაშვილი გიორგი — ალუჩა (მოთხრობა) . . . 19
ალატონოვი ა. — ბკვიანი შვილიშვილი (ზღაპარი, თარგმნა გ. კიკილაშვილმა) . . . 22
გამზათოვი რასულ — სიცრუე და სიმართლე (ნაწყვეტი მოთხრობისა, თარგმნა ზ. ლეშკაშელმა) . . . 24
ჯანდიერი ირაკლი — უჯარმა (წერილი) . . . 26
ბუნების კარი . . . 28
სპორტი . . . 29
გამოგადგები . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . 30
იუმორი . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. მე-3 გვ.

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ოთარ ჩხარტიშვილისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია ფელია.
სარედაქციო კოლეგია: ზოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ზოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05, 93-31-81, პ/მგ. მდივნის 93-97-08, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/V-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VI-73 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 1734 ტირ. 135.000. უე 01913.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ჩაინვოროდი „კინო და ეკრანი“.



1. ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორი და მწერალი; 2. შექსპირის ტრაგედიის მიხედვით შექმნილი ფილმი; 3. გიგო პაპას როლის შემსრულებელი „მაგდანას ლურჯაში“; 4. ტ. და ბ. ოკუჯავების სცენარით ტოდოროვსკის მიერ დადგმული ფილმი; 5. ქართული კინოკომედია; 6. ცნობილი ქართველი კინომსახიობი; 7. მთავარი როლის შემსრულებელი კინოფილმში — „ქალი და მამაკაცი“; 8. ფილმის შექმნა მხატვრული ნაწარმოების მიხედვით; 9. ქართული კინოფილმი, რომელშიც აღწერილია ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლა; 10. იემდას როლის შემსრულებელი კინოფილმში — „ხევსურული ბალადა“. 11. ყაზბეგის ნაწარმოების მიხედვით შექმნილი კინოფილმი; 12. კინოფილმ „რიჩარდ III-ის“ რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი; 13. კინოფილმ „ბაში-აჩუკის“ რეჟისორი; 14. ცნობილი ინგლისელი რეჟისორი და სცენარისტი; 15. კინოფილმ „ტყის სიმღერის“ რეჟისორი; 16. მრავალლინზიანი ოპტიკური სისტემა; 17. ცნობილი საბჭოთა კინოკომიკოსი, ოგურცოვის როლის შემსრულებელი კინოფილმში „კარნავალის ღამე“; 18. აალებადი, ცელულოიდის ფირის აღმომჩენი; 19. კინოთეატრი თბილისში; 20. კინოფილმ „იაპონელი ქურდის ისტორიის“ რეჟისორი; 21. ფილმის ერთ-ერთი ძირითადი შემქმნელი; 22. კინოფილმ „ტოკიოს ოლიმპიადის“ რეჟისორი; 23. ცნობილი ქართველი კინორეჟისორი; 24. ექსპოზიციის განმსაზღვრავი ხელსაწყო; 25. ახალი ფილმის პირველი დემონსტრაცია; 26. დოკუმენტური ფილმების ცნობილი ქართველი რეჟისორი და ოპერატორი; 27. ფრანგი კინომსახიობი ქალი; ნადის როლის შემსრულებელი კინოფილმში „როკო და მისი ძმები“; 28. კინოთეატრი თბილისში; 29. ცნობილი ქართველი კინომსახიობი ქალი; 30. რეჟისორ პერესტიანის მიერ სასომხეთის კინოსტუდიაში დადგმული ფილმი. 31. კინოაპარატის დასადგმელი; 32. პირველი ინდური ფილმი; 33. ს. ცვაიგის ნოველის მიხედვით შექმნილი ფრანგული ფილმი; 44. მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლის პრიზის მფლობელი; 35. მთავარი გმირის როლის შემსრულებელი კინოფილმში „ინჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდი“.

ალექსანდრე ჟურჩიშვილი.
თბილისის 123-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.

ორი შეკითხვა



ყურადღებით დააკვირდით ამ ნახაზებს და უპასუხეთ აქ დასმულ კითხვებს. (პასუხების სისწორე შეამოწმეთ მომდევნო ნომერში).

რამდენი ბურთულისაგან არის შემდგარი ეს ფიგურა?

რამდენი კოლოფი დასჭირდება ასეთი პირამიდის აგებას?

აბა სცადე!

საწყისი ასოების მიხედვით ვერტიკალურ სვეტებში ჩაწერეთ საქართველოს მდინარეების სახელები და ჰორიზონტალურ სვეტში წაიკითხავთ ცნობილი საზოგადო და თეატრალური მოღვაწის გვარს.

ნ. ნასრულაშვილი.



პასუხი 1973 წლის № 6-ში მოთავსებულ „სხრაკლიკულზე“

თავსატეხი

ტიტა; ია; ვარდი; მიხაკი; იასამანი; გვირილა; შროშანი; ზამბახი; იელი; ზიზილა; გეორგინა; ქრიზანთემა; გულყვითელა; ვირისტერფა; ჩიტისთვალა; ჰორიკანა.

გამოცანები

1. წისქვილი.
2. მელა.
3. ბატი.
4. რკო.
5. წაბლი.

6/128

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომუზეუმი











1. „ფიატი“. (იტალია, 1902). 4-5 ადგილიანი ძარა. 4-ცილინდრიანი, 12 ცხენის ძალიანი ძრავა. სიჩქარე საათში 70 კმ. ავტომობილმა ნაწილების გამოუცვლელად გაირბინა 2241 კმ.

2. „იტალა“, მოდელი 29/50. (იტალია, 1907). ძრავა 4-ცილინდრიანი, 50 ცხ. ძლ. სიჩქარე საათში 75 კმ.

3. „რუსო ბალტი“, (რუსეთი, 1910) 5-7 ადგილიანი ძარა. ტიპი „დუბლ-ფაეტონი“. ძრავა 4-ცილინდრიანი, 40 ცხ. ძალიანი, სიჩქარე საათში 90 კმ.

4. „ადლერი“, მოდელი „სტანდარტი — 6“ (გერმანია. 1927). 5-ადგილიანი ძარა, 6-ცილინდრიანი, 60 ცხ. ძალიანი ძრავა. სიჩქარე საათში 60 კმ.

5. „მოსკვიჩი“, მოდელი 412 (სსრკ. 1969-1972) 5-ადგილიანი ძარა, სედანის ტიპისა. 4-ცილინდრიანი, 75 ცხ ძალიანი ძრავა; სისწრაფე საათში 140 კმ.